საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გასვრა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 26 დეკემბერი. 2017 წ. №260 (8397), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ილია II: ეს 40 წელი იყო უმძიმესი წლები, თქვენმა სიყვარულმა ამატანინა მე ეს სიმძიმე

ეს 40 წელი იყო უმძიმესი წლები — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სვეტიცხოვლის ტაძარში, ინტრონიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო ლიტურგიისას.

„ჩემთვის, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ეს მოლოცვები. მე ყველას დიდ მადლობას ვუძღვნი. მინდა, ვთქვა, რომ ეს 40 წელი იყო უმძიმესი წლები, მაგრამ ღვთის წყალობით, ღვთის ლოცვა-კურთხევით და დახმარებით, ჩვენ განვვლეთ ეს წლები და შევასრულეთ 40 წელი. მე ვერ შევძლებდი ამის ატანას, ამის შესრულებას, თქვენი დახმარება და თქვენი სიყვარული რომ არ ყოფილიყო. თქვენმა სიყვარულმა ამატანინა მე ეს სიმძიმე. მე მადლობელი ვარ ყველა ადამიანისა, რომელიც ლოცულობს ჩემთვის და ჩემთვის ეს ძალიან ძვირფასია“, — ბრძანა ილია მეორემ.

„ვლოცულობთ, რათა ეკლესიის ზეციურმა შემოქმედმა დარჩენილი ცხოვრების ჟამი მწუხარების გარეშე მოგანიჭოთ!“

საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრების 40 წლის იუბილეს ულოცავს **მსოფლიო პატრიარქი,** ყოვლადუსამღვდელოესი ბართლომეოსის მილოცვა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში წაიკითხეს.

„უნეტარესო და უწმინდესო, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო და ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტო,. ქრისტე ღმერთში ფრიად საყვარელო და სასურველო ძმაო, თქვენს პატივცემულ უნეტარესობას უფალში ძმურად ვეხვევით და განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმებით. ფრიად საყვარელო თქვენო უნეტარესობავ, დიდი სიხარულით მოგმართავთ და ჩვენ მიერ დაწერილი საპატრიარქო წერილით მსოფლიო საპატრიარქო და პირადად მე, გულითადად მოგილოცავთ საქართველოს უწმინდესი ეკლესიის საჭეთმპყრობლად თქვენი არჩევის 40 წლის აღვსებას და ბედნიერი დაბადების დღის 85 წლისთავს. დღემდე ბრწყინვალედ მსხმოიარეს სიბრძნით, რწმენით, პასუხისმგებლობით და სიყვარულით სავსე მსახურებით, რომელიც თქვენს უწმინდეს ეკლესიასა და თქვენდამი რწმუნებულ ღვთის ბრძენ ერს სიყვარულით მიუძღვენით. ასევე ვლოცულობთ, რათა ეკლესიის ზეციურმა შემოქმედმა მის სადიდებლად მოგანიჭოთ დარჩენილი ცხოვრების ხანგრძლივი ჟამი მწუხარების გარეშე, ჯანმრთელი და სიკეთით სავსე. ამ განწყობით და წმინდა ამბორით სავსე გეხვევით თქვენო უნეტარესობავ და ქრისტესმიერი სიყვარულითა და განსაკუთრებული პატივისცემით ვრჩებით“, — აღნიშნულია მილოცვაში.

„თქვენი სიტყვა ავტორიტეტული და მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც გიცნობთ და უყვარხართ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრების 40 წლის იუბილეს **მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქი კირილი** ულოცავს:

„თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, უფლისმიერო საყვარელო და სანატრელო ძმაო, გულითადად გილოცავთ, როგორც თქვენ, ისე საქართველოს, ეკლესიის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ დღეს, საპატრიარქო ინტრონიზაციის 40 წლისთავს. 4 ათეული წლის წინ ღვთის ნებითა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, თქვენ ახვედით უწმინდესთა და უნეტარესთა, კათოლიკოს-პატრიარქთა ტახტზე.

მთელი ამ წლების განმავლობაში მაცხოვრის შეწევნით თქვენ აღასრულეთ მაღალი მსახურება, სიწმინდით, მეცნიერებით და სულგრძელობით, სიტკბოებით და სულიწმინდით, სიყვარულით, ჭეშმარიტების სიტყვით, ღმრთის ძალით, საჭიროითა სიმართლითა, მარჯვენისაითა და მარცხენისაითა. ის, რომ იბერიის წმინდა მიწაზე ოდესღაც წმინდა ნინოს ღვაწლით დანერგილმა ჭეშმარიტი რწმენის მარცვალმა ასეთი უხვი ნაყოფი გამოიღო, თქვენი უწმინდესობის და უნეტარესობის პირადი დამსახურებაა.

როდესაც შეუდექით საპატრიარქო მსახურებას, თქვენ იყავით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მღვდელმთავარი, დიდი გზა განვლეთ და აწ უკვე ბრძანდებით ეკლესიის მეთაურობის ხანგრძლივობით მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე უხუცესი საჭეთმპყრობელი. თქვენი სიტყვა ავტორიტეტული და მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც გიცნობთ და უყვარხართ, ვინც თქვენთვის ლოცულობს და ვინც თქვენგან კურთხევას ითხოვს. წმინდა პავლე მოციქული მოწმობს, შეიძლება მრავალი მზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მაგრამ არა მრავალი მამა, ჭეშმარიტად თქვენ ბრძანდებით სულიერი მამა მრავალთა და საქართველოს ეკლესიის მრავალი სულიერი შვილისა, იერარქებისა, სამღვდელოთა და საეროთა, თქვენ დაუღალავად ზრუნავთ სამწყსოს დასაპურებლად, მოუწოდებთ და შთააგონებთ რა მათ იცხოვრონ სახარებისეული ცნებებით.

მართლმადიდებელ საქართველოს მომავალზე ზრუნვის გამო თქვენ წმინდა ნათლობით გახდით ნათლია მრავალშვილიანი ოჯახების ათასობით ბავშვისა, რითაც კეთილი საფუძველი გაუმზადეთ ქართველი ერის ბედნიერ მომავალს“, — ნათქვამია მილოცვაში.

თბილისის ურბანული გენოციდის ანატომია



6

ქალაქის სოდომად ქცევის შემოქმედნი

რამაზ საყვარელიძე: ქართული პოლიტიკის 2017 წელი და 2018 წლის გამოწვევები

3

„თქვენი ქადაგების დროს თითოეული შეგონება ჩვენ ერს კელაპტრად უნთია“



პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 40 წლის იუბილე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მიულოცა.

„მინდა, მთელი სულითა და გულით მოგილოცოთ ეს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი. თქვენი პატრიარქობა სულიერების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი ღვთის მადლია, ხოლო საერო თვალსაზრისით არის ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა. უდიდესი მოწიწებით ვიხრი ქედს თქვენი ღვაწლის წინაშე, ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე. მინდა, გისურვოთ დღეგრძელობა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, თქვენი პატრიარქობის პერიოდში აღორძინდა, განახლდა უამრავი ტაძარი, აღდგა სამონასტრო ცხოვრება, ეს არის უდიდესი დამსახურება პირადად თქვენი. თქვენი ქადაგების დროს თითოეული შეგონება ჩვენ ერს კელაპტრად უნთია და პირადი მაგალითით ყოველთვის გვაძლევთ საფუძველს სათნოების, მიმტევებლობის, ეს არის ჩვენთვის ყველასთვის უდიდესი სიხარულის მომნიჭებელი. კიდევ ერთხელ მინდა, მოგილოცოთ, გისურვოთ დღეგრძელობა, ჯანმრთელობა ჩვენი ერის და ჩვენი ეკლესიის გასაძლიერებლად და მრავალჟამიერ გასამხნევებლად ჩვენი ერის“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

„მადლობას ვუძღვნი უფალს, რომ მომმადლა წყალობა, პირადად გამეცანით და წმინდა ძმური ამბორით გადაგხვეოდით“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ინტრონიზაციის 40 წლის იუბილეს ულოცავს რომის პაპი. პაპი ფრანსისკეს მილოცვა სვეტიცხოვლის ტაძარში პროტოპრესსვიტერმა, მამა გიორგი ზვიადაძემ წაიკითხა.

„მოხარული ვარ, ძმური სიყვარულით გადმოგცეთ ჩემი მხურვალე მოლოცვა. ვუერთდები თქვენს უწმინდესობას, თქვენს ეკლესიასა და ძვირფას ქართველ ხალხს. ბიბლიის მიხედვით, 40 წელი ის დროა, რომლის განმავლობაშიც, რჩეული ერი, ღმერთმა უდაბნოში ატარა, აღთქმული მიწის დასამკვიდრებლად. თქვენც, თქვენო უწმინდესობავ, ამ 40 წლის მანძილზე უდაბნოში ვლიდით და წინ მიუძღოდით თქვენს ერს, ათეიზმის ხრიოკ ტრამალზე, სანამ კვლავ არ აღმოცენდა და გაიფურჩქნა რწმენა უფლისა, საქართველოს ოდითგანვე ღვთისკურთხეულ და ურიცხვწამებულთა სისხლით გაჯერებულ, ათას ჭირვარამ გამოვლილ, ჯვრის ნიშით აღბეჭდილ და ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელი თამამი იმედებით გაცისკროვნებულ მიწაზე. ძვირფასო ძმაო! გულში ცოცხლად ვინახავ ხსოვნას, თქვენი ქვეყნის სულიერების, ქრისტიანობისა და კულტურისა, რომლის გაცნობის და დაფასების საშუალება მომეცა, ჩემი შარშანდელი ვიზიტის დროს. მადლობას ვუძღვნი უფალს, რომ მომმადლა წყალობა, პირადად გამეცანით და წმინდა ძმური ამბორით გადაგხვეოდით. მადლიერი ვარ უფლის, იმ მღელვარებისა და სიხარულისთვის, რომელსაც ის შეხვედრა და თქვენი პიროვნება დღესაც აღძრავს ჩემში. შობის წინა დღეებში, თქვენს 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მსურს ჩვენს საერთო მამას, ვთხოვოთ, მოგმადლოთ ჯანმრთელობა, ნუგეში, სულიერი სიხარული და შინაგანი ძალა, არ მოაკლოს თავისი უხვი წყალობა, თქვენს ძვირფას მსახურებას და თქვენს სიცოცხლეს. განსაკუთრებით კი მსურს, დაგარწმუნოთ, რომ საქართველოში კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად, გამუდმებით ვილოცებ თქვენი უწმინდესობის და უნეტარესობისთვის. ვთხოვ უფალს, რომ თქვენს გულში მეც მიმიჩინოს ადგილი და ვიმედოვნებ, რომ როგორც სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დაუვიწყარი ვიზიტისას ითქვა, ლოცვა და სიყვარული შეგვაძლებინებს, აღვასრულოთ ის, რაც უფალმა თავის მორწმუნეებს უსურვა, მოციქულთა სიტყვის მეშვეობით — რათა ყოველი ერთ იყვნენ“, — ნათქვამია რომის პაპის მილოცვაში.

დედოფალმა ელისაბედ მეორემ პატრიარქს აღსაყდრებიდან 40 წელი მიულოცა

„მაძვს პატივი, გულთბილად მივულოცო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებიდან 40 წელი. დიდი სითბოთი ვიხსენებ ჩვენს შეხვედრას 2011 წელს ლონდონში თქვენი ვიზიტისას. მოხარული ვარ, რომ ჩვენს ერებს შორის ურთიერთობები ღრმავდება. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას“, — ნათქვამია ბრიტანეთის დედოფლის მისალოც წერილში.

სინოდის განცხადება

ეკლესიის მიმართ დაპირისპირებამ 2017 წელს რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია

მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განცხადებას „კვირის პალიტრა“ ავრცელებს. განცხადება ილია მეორის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლისთავს ეძღვნება და ამ პერიოდის განმავლობაში ეკლესიის მდგომარეობას აღწერს:

2017 წელი განსაკუთრებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში. წელს ჩვენი ეკლესია და სრულიად საქართველო საზეიმოდ აღნიშნავს 3 დიდ თარიღს — საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთი საუკუნის მანძილზე შეჩერებული 15-საუკუნოვანი ავტოკეფალური მმართველობის აღდგენიდან 100 წლისთავს; უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლისთავს....

„რა ვითარებაში იყო საქართველოს ეკლესია 40 წლის წინ? ეს იყო განადგურების პირას მიყვანილი საპატრიარქო ინსტიტუცია და სულიერად უკიდურესად დაუძლურებული სამწყსო. 1977 წელს საქართველოს ეკლესიაში იყო 6 მღვდელმთავარი, ორმოცდაათამდე სასულიერო პირი და ამდენივე მოქმედი ტაძარი. საზოგადოების უმეტესობა გაუცხოებული იყო ეკლესიისადმი და იყო დიდი ზნეობრივი რეგრესი.

აი, ასეთი უმძიმესი მემკვიდრეობა ჩაიბარა საქართველოს ეკლესიამ 40 წლის წინ. ამას კიდევ დაემატა ეროვნული მოძრაობის მღელვარე 80-იანი წლები, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არანაკლებ რთული გარდამავალი პერიოდი — ორი სამოქალაქო და ორი სამამულო ომი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, არაჯანსაღი ინფორმაციული და ფსიქოლოგიური კლიმატი, არასტაბილური ოჯახური და სამსახურებრივი პირობები, სოფლების დაცლა, მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება, დევნილობა და ლტოლვილობა.

და ბოლოს, ამ წლების მანძილზე ეკლესიის წინააღმდეგ ხილული თუ უხილავი ბრძოლა არათუ მცირდებოდა, არამედ ყოველწლიურად ძლიერდებოდა. როცა ვფიქრობდით, რომ თავი დავაღწიეთ ათეისტურ ძალმომრეობას, აღმოვჩნდით მსოფლმხედველობრივი სეკულარიზმის წნეხის ქვეშ. თანამედროვე მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში მართლმადიდებლობა აღიქმება დემოკრატიისა და პროგრესის შემაფერხებელ ძალად. ამის გამო წარსულში ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა ფიზიკური დევნა შეიცვალა მათ მიმართ უმძიმესი მორალური დისკრედიტაციის ფორმებით.

ბიბლიური წინასწარმეტყველების მიხედვით, ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ იქნება ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა და ბოლო ჟამს კულმინაციას მიაღწევს. რაც უფრო ძლიერდება ეკლესია, მით უფრო იზრდება მასთან დაპირისპირება. ჩვენი ეკლესიის მიმართ ეს დაპირისპირება ყოველწლიურად იზრდებოდა. 2017 საიუბილეო წელს ამ ბრძოლამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდება მსოფლიო მასშტაბით. ამგვარი დაპირიპისრების პირობებში არა თუ მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ არსებულის შენარჩუნებაც კი არ იყო ადვილი.

ამ 40 წლის მანძილზე ეკლესიაში განვითარებული ძირითადი მიმართულებების ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რომ მიმდინარეობს არამარტო არსებული პრობლემების დაძლევა, არამედ ის ეპოქალური ცვლილებები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ელოდა ჩვენი ერი. ყოველი სასიკეთო ნაბიჯი ითხოვდა გიგანტურ ძალისხმევასა და თავის სრულ უარყოფას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ისმენს უფალი ჩვენს ლოცვას და აღასრულებს სასწაულს.

პირველი სასწაული, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების პირველივე დღეს ვიხილეთ, იყო ერის ერთსულოვანი ნდობა სრულიად ახალგაზრდა საჭეთმპყრობელისადმი. მის პიროვნებაში ქართველი ერი ხედავდა არა მარტო ეკლესიის, არამედ ქვეყნის აღორძინების წინამძღვარსაც. ეს მოლოდინი უმოკლეს დროში გამართლდა.

საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნილი ეკლესია უცბად აღმოჩნდა საქვეყნო მოვლენების ცენტრში. საქართველოს საპატრიარქო და სიონის საკათედრო ტაძარი ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მორალური საყრდენი შეიქნა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში უდიდესი იყო ეკლესიის წვლილი“, — ნათქვამია წმინდა სინოდის განცხადებაში.

„არც ერთი არ ექცევა ასე თავის ქვეყნის ეკლესიას არსად, როგორც საქართველოში ექცევით თქვენ“

„შეტევაა თქვენიდან, ტელევიზიებიდან, რადიოდან“ — ასე უპასუხა ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა მეუფე ანტონმა ჟურნალისტებს დასმულ კითხვაზე. მედია მღვდელმთავრისგან წმინდა სინოდის იმ განცხადებით დაინტერესდა, სადაც ნათქვამია, რომ 2017 წელს ეკლესიასთან ბრძოლამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია:

„შეტევაა თქვენიდან, ტელევიზიებიდან, რადიოდან. არც ერთი არ ექცევა ასე თავის ქვეყნის ეკლესიას არსად, როგორც საქართველოში ექცევით თქვენ, სუყველაფერს, ჭორზე აგებულს. უწინ იყო რომ კვამლის გარეშე ცეცხლი არ არსებობდა, კვამლი არ არსებობს, მაგრამ ისეთ ცეცხლს გააჩენთ და ისეთ რაღაცას მოიგონებთ...სად ხედავთ სინოდში დაძაბულ ურთიერთობას? გამორიცხულია. ვიღაცის შეხედულება არ არის დაძაბულობა. ყველას აქვს თავისი შეხედულება“, — განაცხადა მეუფე ანტონმა.

ქართული პოლიტიკის 2017 წელი და 2018 წლის გამოწვევები

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ 2017 წელი განსაკუთრებული იყო აშშ–თან და ევროკავშირთან პარტნიორობის თვალსაზრით, მაგრამ, მისი თქმით, არანაკლები მნიშვნელობის გამოწვევები წინ ელოდება ქვეყნას, მათ შორის, იერუსალიმის თემა. ექსპერტის შეფასებით, მნიშვნელოვანი გამოწვევა გველოდება ისეთ რთულ საკითხებში, როგორიც არის ტერორიზმი. რა იყო წლის წარმატებული მოვლენა და ვინ – წარმატებული მინისტრი, ამ თემებთან დაკავშირებით for.ge **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.

– როგორი იყო 2017 წელი, რა წარმატება ჰქონდა ქვეყანას როგორც შიდა, ასევე საგარეო მიმართულებით?

– საგარეოზე არაფერს ვამბობ, იმიტომ, რომ საგარეო მიმართულებით თითქმის ცხადია ჩვენი პრიორიტეტები, შესაბამისი ნაბიჯებიც გადაიდგა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთან პარტნიორობის მნიშვნელობის აღიარება, რაც ამერიკის პრეზიდენტის მხრიდან გაისმა. თანამდებობის სხვა პირები ყოველთვის ამბობდნენ ამას, მაგრამ დონალდ ტრამპის ყურადღება საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი ის პოლიტიკური ნაბიჯია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

– ტრამპი-კვირიკაშვილის ურთიერთობაში საინტერესო მოვლენა იყო ისიც, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი მესამე პირი იყო, რომელსაც არჩევნების შემდეგ ტრამპი საკუთარი ინიციატივით შეხვდა...

– ნამდვილად. ვერ ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართული დიპლომატიის გამარჯვებაა, მაგრამ ქართულმა დიპლომატიამ მოახერხა და თავის სასარგებლოდ გამოიყენა ხელსაყრელი პირობები, ეს არის ქართული დიპლომატიის გამარჯვება. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ნატოს ყურადღებით ყოველთვის ვიყავით განებივრებული. ევროკავშირიც ბეჯითად უსვამს ხაზს საქართველოსთან პარტნიორობის მნიშვნელობას და ეს ხაზგასმა ევროკავშირის მხრიდან უფრო ინტენსიურად იყო 2017 წელს, რაც აგრეთვე საყურადღებოა.

მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის გამოწვევები გველოდება წინ, მათ შორის იერუსალიმის თემა. მნიშვნელოვანი გამოწვევა გველოდება ისეთ რთულ საკითხებში, როგორიც არის ტერორიზმი – ანუ, ის რაც დავინახეთ განვლილ პერიოდში. საქართველო შეიძლება ტერორისტების ტრანზიტად იქნეს გამოყენებული. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება არის გამოსავლენი. საზღვრის კონტროლზე გაამახვილა ყურადღება ახალმა შს მინისტრმა, რაც ტერორისტების მოძრაობის შესაძლებლობას აღკვეთავს.

– ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან პარტნიორობის დასტური იყო უვიზო მიმოსვლა.პატარა ქვეყნისთვის ეს იყო უპრეცედენტო მოვლენა, მაშინ როდესაც ევროპასთან უვიზო მიმოსვლას დღემდე უშედეგოდ ელოდება უკრაინა?

– ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ნათქვამია – კარგმა შეჩვევა იცისო და ამიტომ ჩავთვალე, რომ უვიზო მიმოსვლა ყოველთვის გვქონდა. გეთანხმებით, ამ მოვლენისთვის მთელი ენერგიით იბრძოდა უკრაინა. უკრაინის ბრძოლა საყურადღებო იმით არის, რომ დღეს უკრაინას თავისი მოქალაქეების მოგზაურობის თემა არ უდგას, უფრო დიდი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. მაგრამ უკრაინისთვის უვიზო მიმოსვლის მიცემა ხდება იმის ნიშანი, რომ უვიზო მიმოსვლა არის ის ნდობა, რასაც ევროპა ავლენს ნდობის კუთხით. უკრაინის მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ცხადი გახდეს უვიზო მიმოსვლა ქართველების ამოჩემება არ არის. ამავე ჭრილში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლას.

– წარმატებასთან ერთად იყო წარუმატებლობა და როდესაც საერთაშორისო წარმატებაზე ვსაუბრობთ, ყველა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ რუსული ანექსია გრძელდება. როდესაც ბორდერიზაციას ეხება საკითხი, ოპონენტები ხაზს უსვამენ ხელისუფლების უნიათობას და ამ კონტექსტში ხაზს უსვამენ ხელისუფლების პრორუსულობას. ამ ფრონტზე ხელისუფლებას ჰქონდა ჩავარდნა?

– პირველი, რაც უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, ვეთანხმები შს მინისტრის განცხადებას, არ უნდა მიაქციონ ყურადღება ამ ოპოზიციის განცხადებას. ეს არ არის პოლიტიკური ოპოზიცია. ისევე როგორც პოლიტიკაზე მათთან მსჯელობა, თვითონ პოლიტიკის შეურაცხყოფაა. და რატომ? - – თუკი ოპოზიციას არ ესმის საკითხი და საკითხს იყენებს მარტო იმიტომ, რომ შეუტიოს „ქართულ ოცნებას“, მაშინ რა აზრი აქვს ასეთი ოპოზიციის ყოლას? ოპოზიციის არსებობას აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას გული შესტკივა ქვეყნისთვის, როდესაც სწორ გზას კარნახობს როგორც ხელისუფლებას, ასევე მოსახლეობას. როცა ოპოზიციას მარტო ის აინტერესებს, ვინმე ლანძღოს, ასეთი ოპოზიციის აზრის გათვალისწინება არაფრის მომცემი არ არის.

ვინ, ვინ და, ეს ის ოპოზიცია არ არის, რომელიც 2008 წელს სამარცხვინო სიტუაციაში აღმოჩნდა? ვინ ვინ და, ამ ოპოზიციამ არ უნდა იცოდეს, რომ რუსეთთან დაპირისპირებით ბრძოლა უშედეგოა, ხოლო რბილი ბრძოლა შედეგის მომტანი არ არის? ოპოზიციამ არ უნდა იცოდეს, რომ მთელი მსოფლიოსთვის არის რუსეთი პრობლემა? როცა ხელისუფლებას საყვედურობს, რატომ ვერ დაძლიეთ რუსეთი აქამდეო, ასეთი ოპოზიციის არსებობას აზრი არ აქვს.

– რა გამოწვევები ელოდება 2018 წელს ქვეყანას?

– რუსეთთან ურთიერთობა მუდმივად რთული იქნება. ამ ურთიერთობაში გასაღებს საქართველო ვერ იპოვის იქამდე, სანამ რუსეთი ახერხებს მსოფლიოს მოახვიოს თავისი პოლიტიკა, ანუ, სანამ რუსეთი ძლიერია. რუსეთი საქართველოსთვის არ უნდა წავიდეს დათმობაზე, მის ანგარიშში საქართველო საერთოდ არ ფიგურირებს. დათმობაზე თუ წავა, წავა დასავლეთის, ან რომელიმე სხვა ქვეყნების ხათრით და ამ შემთხვევაშიც არც ჩინეთს გამოვრიცხავ, ანუ დათმობაში მან რაღაცა უნდა მოიგოს. ასეთი სიტუაცია სანამ არ მომწიფდება, იქამდე ბორდერიზაციის პროცესიც გაგრძელდება, გატაცებებიც და ა.შ. რუსეთი ყველა მხრივ ეცდება, დისკომფორტის მომტანი იყოს. ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველომ რაღაცა არ ჰქნა, მართლაც ღიმილისმომგვრელია.

– ზედიზედ მეორედ ხდება წინასაარჩევნოდ განახლებული მთავრობის დამტკიცება. ისევე როგორც 2017 წელს, 2018 წელსაც გიორგი კვირიკაშვილის მთავრობა ახალი შემადგენლობით ხვდება ახალ წელს. როგორ შეაფასებთ მთავრობის საქმიანობას. 2017 წელს რომელი უწყება იყო ყველაზე წარმატებული?

– ამ კუთხით სასჯელაღსრულების სამინისტროს გამოვყოფდი. მძიმე მემკვიდრეობა ერგო კახა კახიშვილს. მძიმე ტრადიაცია იმისა, როგორ შეიძლება რთული პროექტი ააწყო და გახადო წარმატებული. ქართული ციხე იყო ძალისმიერი დაწესებულება, სადაც ადამიანი ადამიანად არ ითვლებოდა. საბჭოთა პერიოდიდან მოდის ეს ტრადიაცია. საბჭოთა პერიოდის ციხეებს იმასვე საყვედურობდნენ, რაც ქართული ციხის სინამდვილეში გვქონდა. კახიშვილმა მოახერხა და საკმაოდ მცირე პერიოდში ამ საბჭოთა ციხიდან პრაქტიკულად შექმნა ევროპული ციხე, თავისი დამოკიდებულებით პატიმრისადმი.

შეიძლება ამ ციხეში ბევრი რამ აკლიათ პატიმრებს, ისევე როგორც ჩვეულებრივ ყოფაში მყოფ ადამიანებს, მაგრამ დანიისა და ნორვეგიის მსგავსად, სადაც ციხის პირობები ლამის ლეგენდად არის ქცეული, ვგულისხმობ სანატორიუმის რეჟიმს, დაახლოებით ასეთი რეჟიმისკენ მიჰყავს კახიშვილს ეს სისტემა.

ამიტომ, მე ვიტყოდი და ბევრი დამეთანხმება, რომ ამ თვალსაზრისით უნიკალური მინისტრია. არა მარტო იმიტომ, რომ რთული სისტემა არგუნა ღმერთმა და ამ სისტემას მოუარა, არამედ იმიტომაც, რომ არა მარტო მოუარა, არამედ ევროპულ სტანდარტებს დაუქვემდებარა. ამას ძალიან ბევრი ვერ ახერხებს. კახიშვილი არა მარტო ამ მთავრობის, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის განვლილ პერიოდში, ერთ-ერთი გამორჩეული მინისტრია.

– როგორც შს მინისტრი, საინტერესო ფიგურა აღმოჩნდა გიორგი გახარია, რომელიც დანიშვნის დღიდან მოექცა ყურადღების ცენტრში და, როგორც ჩანს, ბევრი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი ფიგურა. რამდენად რთული გამოწვევის წინაშე დგას გახარია და რამდენად შეძლებს უწყების დეპოლიტიზირებას, რეფორმირებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია? პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები, მათ შორის უკანონო დაკავება, სამწუხაროდ, ისევ გრძელდება და ამის არაერთი ფაქტი გვაქვს...

– გეთანხმებით, გახარია მნიშვნელოვანი ფიგურაა ბევრი თვალსაზრისით. ყოველთვის რთული იყო „ქართული ოცნებისთვის“ საკადრო პოლიტიკა, მაგრამ გახარიასთან დაკავშირებით არის ბევრი ოპტიმიზმი, რაც უდავოდ მისასალმებელია. შეიძლება ჯერ ნაადრევია ეს ოპტიმიზმი. კახიშვილისგან განსხვავებით, მას ჯერ სისტემასთან საქმე არ ჰქონია, მაგრამ იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა მისმა საპარლამენტო გამოსვლამ, იმდენად საქმიანი იყო, ვფიქრობ, ამან გააჩინა ის დამოკიდებულება, რასაც თქვენ ბრძანებთ.

– თქვენ ამბობთ, რომ ქართული პოლიტიკისთვის ეს იყო წარმატებული წელი. ამ წარმატებულობის სათავეში დგას პრემიერ–მინისტრი, ამ წარმატებულობაზე რამდენად შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ მოვლენებმა, რაც ვნახეთ საქართველოს პარლამენტში? ეს წელი, ალბათ, იმითაც იყო გამორჩეული, რომ მაგალითად „პატრიოტთა ალიანსი“ ითხოვს კვირიკაშვილის გადადგომას, მაგრამ რატომ, ამ კითხვაზე პასუხი თავადაც არ აქვთ...

– არა მგონია, რომ პარლამენტში განვითარებულმა პროცესებმა სერიოზული გავლენა მოახდინოს. და რატომ? – მელიაც, ბოკერიაც და ეს ფრთა პედელირებას აკეთებდნენ იმაზე, რომ პრემიერი არაფერს არ წყვეტს, პრემიერი, ფაქტობრივად, უხეშად რომ ვთქვათ, ცარიელი ადგილია და ა.შ. კი მაგრამ, თუ პრემიერი არაფერს არ წყვეტს, თუ ცარიელი ადგილია, ასეთი გამწარებული ბრძოლა რატომ მიდის ამ ცარიელ ადგილზე? ფაქტიურად, ეს არის უპრეცედენტო ბრძოლა კვირიკაშვილის წინააღმდეგ, მე არც მახსენდება ანალოგიური დაპირისპირება არც ერთი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ.

ამ კონტექსტში საინტერესო იყო „პატროტთა ალიანსის“ დაპირისპირება. ბევრი რამე შეიძლება მოითხოვოს პოლიტიკურმა გუნდმა, მაგრამ ესენი, არც მეტი, არც ნაკლები, კვირიკაშვილის გადადგომას ითხოვენ. ამბობენ, რომ პრემიერი ქმედითი არ არისო. საინტერესოა, როდის იყო ოპოზიციას ქმედითი და ძლიერი სახელისუფლებო ფიგურა უნდოდა? იქნებ ის ხდება, რომ მართლაც ძლიერი ფიგურაა კვირიკაშვილი თავისი გაწონასწორებით და კვალიფიციურობით, რაც წამგებიანია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და ამ გაწონასწორებულობას და სიმშვიდეს ებრძვიან ყოველმხრივ და ამ ფორმიდან უნდათ ამოაგდონ. კვირიკაშვილი პრაქტიკულად შეცდომებს არ უშვებდა, ეს უშეცდომო ფიგურა არ აწყობთ და იმიტომ აქვთ ბრძოლა გამოცხადებული. ეს დაპირისპირება კვირიკაშვილისთვის ყველაზე დიდი არგუმენტია იმისა, რომ ერთ-ერთი კარგი პრემიერია და ამართლებს იმ ადგილს, რაც უკავია.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

„ადვოკატს ორი დღე ჰქონდა მხოლოდ დატვირთული“

პროკურორმა სასამართლოს სააკაშვილის ადვოკატის გრაფიკი წარუდგინა

პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი მიხეილ სააკაშვილის **სახაზინო ადვოკატს სიცრუეში ადანაშაულებს.** სანდრო გირგვლიანის საქმის პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა სასამართლოს ადვოკატ სოფიო გოგლიჩიძის მუშაობის გრაფიკი წარუდგინა და აღნიშნა, რომ რეალურად, გოგლიჩიძე არაა იმდენად დატვირთული, რომ დასკვნითი სიტყვა ვერ მოემზადებინა.

„ქალბატონმა სოფომ იცრუა წინა პროცესზე, რომ მას აქვს დატვირთული გრაფიკი. ორი დღე ჰქონდა მხოლოდ დატვირთული. გამოითხოვა პროკურატურამ ინფორმაცია, რა დატვირთვით მუშაობს ის სხვადასხვა საქმეებში, რომელიც მას აქვს. ეს ინფორმაცია გამოთხოვილია როგორც პროკურატურის ორგანოებიდან, ასევე სხვა ორგანიზაციებიდან. რომ დავაჯამოთ, 2 სრული დღე თუ გამოუვა მუშაობის მხრივ. შესაბამისად, ადვოკატის გრაფიკი არაა იმდენად დატვირთული, რომ მას კვლავ მოემიზეზებინა სხდომის გადადება დასკვნითი სიტყვის მოუმზადებლობის გამო. ეს ყველაფერი ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, რაც დაცვის მხარის ტაქტიკაა“, – განაცხადა პროკურორმა.

ადვოკატმა გოგლიჩიძემ კი სასამართლოს და პროკურორებს მისი მუშაობის განსხვავებული გრაფიკი წარუდგინა. ადვოკატმა განაცხადა, რომ პროკურატურის და სასამართლოს გარდა, ის ამ დღეების განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებშიც იმყოფებოდა, სადაც დაცვის ქვეშ მყოფებს ხვდებოდა.

შეუძლებელია, პოლიციის 40 000 თანამშრომელი ერთ დღეში გახდეს სრულიად ახალი ადამიანი

ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ „იმედის კვირის“ ეთერში განაცხადა.

„პოლიციელიც ჩვენი საზოგადოების ნაწილია. ჩვენ ვამბობთ ასეთ რამეს – შეუძლებელია ერთ დღეში პოლიციის 40 000 თანამშრომელი გახდეს სრულიად ახალი ადამიანი. ჩვენ ვამბობთ, რომ რეფორმების გარეშე და რეფორმების შინაარსობრივი ნაწილის გარეშე ერთ დღეში სახეცვლილ პოლიციას ვერ მივიღებთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვინმეს რაიმე ინდულგენციას ვაძლევთ. ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ცნობად სახეებსაც ასეთ ინდულგენციას ვერ მივცემთ. ჩვენ საზოგადობასთან ერთად გვესმის, რომ გვჭირდება შინაარსობრივი რეფორმები. ამ შინაარსობრივი რეფორმების არსი უნდა მდგომარეობდეს როგორც საკადრო პოლიტიკის, საგანმანათლებლო ნაწილის, ასევე, მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი კონტროლის მექანიზმებში, რათა ეს გაუცხოების ელემენტი ნელ-ნელა გადავლახოთ. გამართული, პოლიტიკურად ნეიტრალური საპოლიციო სისტემა ჩვენი საზოგადობის ინტერესშია. ჩვენ ასევე გვესმის, რომ საზოგადოებას არ აქვს ვალდებულება, ითმინოს პოლიციელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ ერთ დღეში მსგავსი შედეგის დადგომა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ საზოგადოებას, რეფორმირების პროცესში იყოს ჩვენთან ერთად. ჩვენ ამ პირობის და ამ მოთხოვნის უფლებას გვაძლევს ის მაქსიმალური ტრანსფარენტულობა, რომელსაც ვაპირებთ“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

საპოლიციო ღონისძიებები მნიშვნელოვანია, რათა საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაცული იყოს

საპოლიციო ღონისძიებები არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება იყოს დაცული – ეს განცხადება, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა. ირაკლი კობახიძემ ოპოზიციის მიერ გამოთქმულ იმ ბრალდებებს უპასუხა, რომელიც საპოლიციო კონტროლს ეხება. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, კონტროლი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით ტარდება და მას პარლამენტი განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდება. კობახიძე სამართალდამცველების მხრიდან პოეტ ზვიად რატიანზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასაც ეხმაურება და ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის აუცილებლობაზე საუბრობს.

„საპოლიციო ღონისძიებები არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოება იყოს დაცული, თუმცა ამასთანავე, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებები იყოს სათანადოდ დაცული და შესაბამისად, ნებისმიერი ასეთი პროცესი იქნება პარლამენტის განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ,“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პოეტ ზვიად რატიანის საქმეზე სასამართლო პროცესი გადაიდო

სხდომის გადადების შუამდგომლობა რატიანის ადვოკატმა დააყენა, პოეტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. რატიანს ტვინის შერყევა აქვს და არსებული ინფორმაციით, საჭირო გახდა მისი გადაყვანა საავადმყოფოში.

სასამართლო სხდომა 17 იანვარს 17:00 საათზე ჩაინიშნა. ზვიად რატიანს ბრალად ხულიგნობა და პოლიციის მიმართ დაუმორჩილებლობა ედება. თავად პოეტი სამართალდამცველებს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს. მას სხეულზე დაზიანებები აღენიშნება.

სკოლებიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ ერთი თეთრიც არ გადარიცხულა

ძუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში მუსტაფა ემრე ჩაბუქის ადვოკატი ვახტანგ კვიჟინაძე მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. ჩაბუქი 5 წლის განმავლობაში სწორედ ამ სკოლა-ლიცეუმის დირექტორი იყო. როგორც ადვოკატი, ვახტანგ კვიჟინაძე აცხადებს, ჩაბუქის ბრალდება – ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირი, არ დასტურდება.

„შემოწმდა სკოლები, რომელთაგანაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ერთი თეთრიც არ გადარიცხულა და დივიდენდის სახით არ გასულა. თანხები არამხოლოდ თურქეთის რესპუბლიკაში, არამედ, პარტნიორებთანაც კი არ გატანილა. შესაბამისად, ის ტერორისტული ორგანიზაციას დახმარების ვერ გაუწევდა. სახელმწიფო ბრალდება ედავება, რომ ტერორისტული ორგანიზაციის წევრი იყო. ჩვენ კი ვსვამთ კითხვას, რაში გამოიხატებოდა მისი წევრობა? გარდა ამისა, სკოლები შეფასებულია, როგორც ტერორისტული ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი. რაში გამოიხატება ეს? თანხა გაცემული არ არის, დამფუძნებელი გიულენი არ არის, აღნიშნული პირის კავშირი გიულენთან საქმეში არ არსებობს. ჩაბუქი კოლეჯების მესაკუთრე არ ყოფილა, ის იყო დაქირავებული თანამშრომელი, მენეჯერული ფუნქციებით აღჭურვილი“, – განაცხადა ადვოკატმა. მისივე თქმით, 24 თებერვალს ჩანიშნულ პროცესამდე ან ჩაბუქის გათავისუფლება გადაწყდება ან მისი ექსტრადირება.

„პროცესი 24 თებერვალს არის ჩანიშნული, ამ თარიღამდე გადაწყვეტილი უნდა იყოს მისი ან გამოშვება და საქმის გაგრძელება მისი გარეთ ყოფნის პერიოდში ან ექსტრადირება და თურქეთისთვის გადაცემა“, – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ჩაბუქის ადვოკატმა.

მესტიაში მოკლული საკრებულოს წევრი „ნაციონალების“ თავმჯდომარე იყო

ნაციონალურ მოძრაობაში ჯერჯერობით არა აქვთ ინფორმაცია, თუ რა გახდა მკვლელობის მოტივი. წინასწარი ინფორმაციით კი მკვლელობა მეზობლებს შორის შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ნიგურიანს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

მართვის მოწმობების გამოცვლის ვადა 1 აპრილამდე გადაიდო

შსს-მ მართვის მოწმობების გამოცვლის ვადა გადაწია. უწყების ცნობით, მოქალაქეებს მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში მართვის მოწმობების შეცვლა კიდევ სამი თვის განმავლობაში, 1 აპრილამდე შეეძლებათ.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება „საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში“ 1 იანვრიდან ამოქმედდება.

როგორც შსს-სში განმარტავენ, გადაწყვეტილება მართვის მოწმობის შეცვლის მსურველთა სიმრავლის გამო იქნა მიღებული.

შსს-ს ინფორმაციით, ამჟამად გაცემულია 90 000-ზე მეტი განახლებული მართვის მოწმობა, თუმცა მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის თანახმად, 2018 წლისთვის შესაცვლელი მართვის მოწმობა კიდევ 94 000-ზე მეტია. ახალი ცვლილების მიხედვით, მოქალაქეებს დამატებით მიეცათ სამთვიანი ვადა იმისთვის, რომ შეცვალონ 2006 წლის პირველ აპრილამდე გაცემული მართვის მოწმობა.

„იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქემ 2018 წლის 1 აპრილამდე არ შეცვალა მართვის მოწმობა, დოკუმენტი ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად და მოქალაქე ავტომობილის მართვას შეძლებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მართვის მოწმობას შეცვლის. მართვის მოწმობის შეცვლის მსურველები არც 2018 წლის 1 აპრილის შემდეგ ჩააბარებენ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას,“ – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს განმარტავენ, რომ აღნიშნული ცვლილება არ ეხება თანამედროვე პლასტიკური ბარათების ტიპის მართვის მოწმობებს.

აფხაზეთის რეაქცია კვირიკაშვილის ინიციატივაზე: სოხუმი თბილისთან ეკონომიკური თანამშრომლობისთვის მზადაა

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ რუსეთ-საქართველოს შორის 2011 წელს გაფორმებულ „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ ხელშეკრულების საკითხზე ისაუბრა.

21 დეკემბერს გამართულ წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კითხვა დე ფაქტო პრეზიდენტს დაუსვეს, მან კი საპასუხოდ „ურა-პატრიოტიზმი“ დაგმო, „საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის აუცილებლობას“ გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ „აფხაზეთმა არა გუშინდელი დღით უნდა იცხოვროს, არამედ ხვალინდელ დღეზე იფიქროს“:

„საბაჟო ომის დასრულებიდან პირველ პერიოდშიც მუშაობდა, გადასახადებიც კი იხდებოდა, მაგრამ შემდეგ ეს რაღაცნაირად შეწყდა. არავინ საუბრობს იმაზე, რომ საქართველოსთან ეკონომიკური კავშირები უნდა დავამყაროთ, ეკონომიკური კავშირები სულ სხვა ადამიანებმა და სხვა პირებმა დაამყარეს, რომლებიც ამ საზღვარზე მუშაობენ. არავისთვის არის საიდუმლო, რომ აქტივრთები მოძრაობს და თქვენც – ჟურნალისტებიც წერთ ამის შესახებ. დაწყებული გუდაუთის ბაზრით, გაგრის, სოხუმის და ყველა სხვა ჩვენი ბაზარი გავსებულია ქართული პროდუქციით. რატომ უნდა მივცეთ ჩვენს ბაზარზე დემპინგის შესაძლებლობა ადამიანთა გარკვეულ კატეგორიებს? ჩვენ არა საქართველოსთან ეკონომიკური კავშირების დამყარებას ვუჭერთ მხარს, არამედ უფრო მკაცრ კონტროლს და ჩვენი სახელმწიფოსთვის მეტი შესაძლებლობის წარმოქმნას. ჩვენ ხომ გაგვაქვს თხილი და ყველას მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ საბაჟო გადასახადები არსებობდა და ახლაც ძალაშია“.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინათ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ქართული მხარის მიერ შვეიცარიულ კომპანია SGS-სთან „საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ“ ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტის ხელმოწერას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ “რუსეთი საქართველოს მიუღებელ პირობებს უყენებდა და დღესაც უყენებს“.

„ეს ხელშეკრულება წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობად გვერგო. რატომ არ ფორმდებოდა კონტრაქტი დღემდე? მთელი ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთი მიუღებელ პირობებს გვიყენებდა. მეტსაც გეტყვით: მისი მხრიდან მიუღებელი წინადადებები დღესაც ისმის. კერძოდ, რუსეთი ამ ხელშეკრულების რიგი ტექნიკური დეტალების შეცვლას გვთავაზობს. ჩვენს მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაში არ არის არც ერთი პუნქტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება“ – განაცხადა კვირიკაშვილმა პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას.

2018 წელს კიკვიძის ბაღის სრული რეაბილიტაცია მოხდება

თბილისის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრი მიხეილ ამაშუკელი გამგებელთან ირაკლი ხელაძესთან ერთად ნაძალადევის რაიონის მე-19 ოლქის მოსახლეობას შეხვდა და მათ დედაქალაქის 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები გააცნო.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, მოსახლეობის თხოვნის შესაბამისად, მომავალ წელს კიკვიძის ბაღს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება, რისთვისაც ბიუჯეტში 2 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი.

გარდა კიკვიძის ბაღის რეაბილიტაციისა, მიხეილ ამაშუკელის თქმით, რაიონში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. მათ შორის მოხდება მთავარი და შიდა გზების, ასევე ეზოების, კორპუსებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაცია. მისივე თქმით, 2019 წლიდან, ნაძალადევის რაიონში მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობაც დაიწყება.

◎ ᲐᲣᲠᲖᲐᲣᲠᲘ ᲐᲣᲠᲖᲐᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ: ᲗᲣ ᲛᲘᲮᲝᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲣᲠᲗᲧᲐ ᲕᲘᲖᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „КП в Украине“ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲗ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ �გᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲛᲐᲙᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲑᲘᲗ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜ ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲚᲔᲑᲘᲗ:

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ რომ ჰოლანდიის ვიზა აიღო, ამის თაობაზე ნიდერლანდების სამეფოს უდიდესმა გაზეთმა De Telegraaf-მა დაწერა, თან ქვეყნის უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროც დაიმოწმა, რომ მართალია, ტყუილი არ გეგონოთო. ვიზა გაცემულია „ოჯახის გაერთიანების“ პირობით — მიხოს ცოლი სანდრა რულოვსი ნიდერლანდების მოქალაქეა.

თვითონ მიხეილ სააკაშვილი ვიზის აღების ფაქტს უარყოფს: **„კარგით, რა... რაში მჭირდება ჰოლანდიის ვიზა? მე ევროპის ყოველ ქვეყანაში წასვლა ისედაც შემიძლია, მოქალაქეობის რამდენიმე შემოთავაზებაც მაქვს რამდენიმე ევროპული ქვეყნისაგან და იქაური წამყვანი პოლიტიკოსებისაგან. მე ასევე მაქვს ავტომატური უფლება ჰოლანდიის მოქალაქეობაზეც, ჩემი ოჯახი ხომ ჰოლანდიიდანაა. მაქვს აგრეთვე სამუშაოდ მიწვევა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში. მოკლედ, ვიზის პრობლემა არ მაქვს“,** — განაცხადა საქართველოს ექსპრეზიდენტმა ტელეარხ News-One-ს ეთერში გამოსვლისას, თუმცა მან იქვე აღიარა, რომ მას არც ერთი სრულფასოვანი პასპორტი არა აქვს.

თუ არც ერთი პასპორტი არა აქვს, მაშ როგორ მოახერხა ვიზის მიღება დოკუმენტების გარეშე? თუ მიიღო, სად „ჩაურტყეს“? ამ კითხვებზე პასუხისათვის კიევში ნიდერლანდების საელჩოს მივმართეთ. როგორც დიპლომატებმა აგვიხსნეს, ვიზის გაცემის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნების უფლება მხოლოდ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს. ამასთან განგვიმარტეს, რომ ვიზის მისაღებად პირს საზღვარგარეთის პასპორტი უნდა ჰქონდეს, რომლის გარეშე საზღვრის გადალახვა ფიზიკურად შეუძლებელია.

მიხოს უკრაინის საზღვარგარეთული პასპორტი რომც ჰქონდეს გადანახული, ის მაინც ძალადაკარგული იქნება: ყველა სასაზღვრო ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებულია, რომ მიხეილ სააკაშვილის პასპორტი უმოქმედოა. **„თუ პასპორტი ხელზე არ გაქვს, გადაუდებელ შემთხვევებში შეიძლება მისი ასლით ისარგებლო, მაგრამ თუ პასპორტი გაუქმებული და ანულირებულია, მაშინ ვიზას ვერ მიიღებ, არც ერთი საელჩო ამგვარ პასპორტს არ გაუშვებს“,** — აუხსნეს ჩვენს გაზეთს კომპეტენტურმა ექსპერტებმა. **რაც შეეხება ნიდერლანდებში მყოფ ოჯახთან „შეერთებას“, რომლის მიხედვით მიხეილ სააკაშვილს ვიზის მიღება შეეძლო (თეორიულად), ამისთვისაც აუცილებელია სამოქალაქო პასპორტი, რომლითაც ოჯახური კავშირი ოფიციალურად დასტურდება.**

ვის აწყობს ეს მითქმა-მოთქმა?

როგორც პოლიტოლოგი ვადიმ კარასევი ამბობს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ საიდან მოდის ინიციატივა. „თუ ეს თვითონ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივაა, მაშინ გასაგებია. იგი ხშირად აკეთებს პათოსურ განცხადებებს, რომ „უკრაინა ძალიან უყვარს, არ მიგვატოვებს“ და ა.შ. თუ ეს ხელისუფლებისგან მოდის, მაშინ, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილს უკრაინიდან ჩუმად წასვლის შანსს აძლევენ. ალბათ, მას ეუბნებიან: „მიშა, წადი, სანამ სერგეი კურჩენკოს სატელეფონო ჩანაწერების მსხვერპლი არ გახდები. გაძლევთ შანსს, რომ ლამაზად წახვიდე“. ვადიმ კარასევი დარწმუნებულია: თუ ხელისუფლებამ მოისურვა, მიხოს ვიზის აღება პასპორტის გარეშეც თავისუფლად შეეძლო.

როგორც 22 დეკემბერს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰალბე ზეისტრამ ტელეარხ NOS-ის ეთერში გამოსვლისას განაცხადა, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, თუ მას სურვილი ექნება, კანონმდებლობის თანახმად, შეუძლია ჰოლანდიის ქვეშევრდომობა მიიღოსო. სააგენტო „ფრანს-პრესის“ ცნობით, მიხეილ სააკაშვილმა, თავისი ადვოკატის მეშვეობით, უკვე წარადგინა თხოვნა ჰოლანდიაში დროებითი ცხოვრების ნებართვის მისაღებად.

◎ ᲝᲗᲮᲤᲔᲮᲐ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲧᲝᲡᲐ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲛᲠᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ

ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲠᲫᲔᲚ ᲦᲐᲛᲔᲡ, 22 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ-ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲩᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ-ᲒᲐᲛᲨᲕᲔᲑ ᲞᲣᲜᲥᲢᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�პᲐᲢᲘᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲛᲐ „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡ“ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲙᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ — ᲙᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲦᲔᲑᲗᲝ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲫᲦᲝᲚᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲡ (ᲮᲔᲚᲨᲔᲣᲮᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ) ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.

საეჭვო მიკროავტობუსი მესაზღვრეებმა ჯერ კიდევ 20 დეკემბერს შენიშნეს, საღამოს შვიდი საათისათვის. შავი „მერსედესი“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტში შევიდა და მესაზღვრეებს დიპლომატიური პასპორტი აჩვენა. ისე ჩანდა, რომ რაიმე გაუგებრობა არ უნდა მომხდარიყო, რადგან მსგავსი დოკუმენტის მქონე „მნიშვნელოვან ამხანაგებს“ მესაზღვრეები არ ამოწმებენ და მხოლოდ საზღვრის გადაკვეთას აფიქსირებენ. ტვირთის შემოწმებაც არ შეიძლება. თუმცა არის ერთი „მაგრამ“, ანუ როცა ეჭვი ჩნდება, რომ საქმე კონტრაბანდას ეხება, უკვე იწყება მისი ტვირთის გასინჯვა, საელჩოს ან საკონსულოს წარმომადგენლის თანდასწრებით.

ყველაფერი კი ოთხფეხა „მესაზღვრის“ — კეთილი ადამიანების ერთგული მეგობრისა და კონტრაბანდისტების მტრის — ძაღლის დახმარებით მოხდა: გაწვრთნილმა ცუგრიამ აკრძალული ნივთების არსებობა იგრძნო, კმაყოფილმა შეჰყეფა და მიკროავტობუსის გვერდით წამოწვა. მესაზღვრეები მიხვდნენ, რომ დიპლომატიურ ტვირთში რაღაც ისეთი იმალებოდა, რომლის გადატანა საზღვარზე არ უნდა მომხდარიყო. რადგანაც მძღოლი სატვირთოს კარის გაღებას არ ჩქარობდა და შიგნით ჩაიკეტა, ავტომანქანა სარეზერვო ბოქსში გადაათრიეს, ყარაული დაუყენეს და კონსულის მისვლას დაელოდნენ. მოგვიანებით, მძღოლს გაქცევა არ უცდია, რადგან მიხვდა, რომ მესაზღვრეებს ვერსად წაუვიდოდა.

როცა საქართველოს საპატიო კონსულთან ერთად, შემთხვევის ადგილზე ადვოკატიც მივიდა, მძღოლმა ავტოფურგონის კარი გააღო და ჰოი, საკვირველებავ! — მესაზღვრეების თვალწინ სიგარეტებით სავსე 21 ჩანთა და 45 ყუთი აღმოჩნდა! და რაც ყველაზე საინტერესოა, კონტრაბანდისტი უკრაინაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ერთ-ერთი თანამშრომლის ქმარი აღმოჩნდა! აქვე განვმარტავთ, რომ დიპლომატების მეუღლეებს დიპლომატიური პასპორტი და სტატუსი აქვთ და ყველა პრივილიგიებით სარგებლობენ.

წინასწარი შეფასებით, სიგარეტების საერთო ფასი 540 ათასი გრივნას შეადგენს, მისი რეალიზებით კი, თუ ათყუთიანი ბლოკი 240 გრივნად გაიყიდება, კონტრაბანდისტი 3 მლნ-ზე მეტ გრივნას მიიღებდა მოგების სახით.

კანონდამრღვევს ჯარიმა ემუქრება, თუმცა რამდენი, ამ ეტაპზე უცნობია — ჯერჯერობით დოკუმენტების გაფორმება მიმდინარეობს.

„КП в Украине“

ᲐᲠ ᲒᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐ ᲑᲘᲭᲝ ᲓᲐᲕᲘᲗ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠ!

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲦᲚᲝᲜᲢᲘᲐ. ᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲕᲘᲪᲔ-�კᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ ᲔᲙᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲪ. ᲕᲘᲪᲔ-ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲛ ᲣᲙᲕᲔ �გᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲓᲐᲜ.

რაც შეეხება დავით ღლონტს, მას აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა წინა ხელისუფლების დროს ეკავა.

უკრაინის სახელმწიფო საზღვრის სამსახური კონტრაბანდული სიგარეტის ამოღების კადრებსაც ავრცელებს.

მედიის ინფორმაციით, მძღოლი მანქანის დათვალიერების საშუალებას მესაზღვრეებს არ აძლევდა, რის გამოც ადგილზე უკრაინაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებისა და ადვოკატის გამოძახება გახდა საჭირო. საბოლოოდ მანქანაში 45 ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი აღმოჩნდა.

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲗᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ოთხი ქართველი დააკავეს. ამის შესახებ ადგილობრივი გამოცემა „RUV“ წერს. მისივე ცნობით, დაკავებულები მაღაზიების ძარცვაში არიან ეჭვმიტანილები.

გამოცემის ცნობით, დაკავებულთაგან ერთ-ერთი სამშობლოში პოლიციელი იყო.

როგორც „RUV“ იუწყება, დაკავებულთაგან სამი ისლანდიაში თავშესაფრის მაძიებელია, ხოლო მეოთხემ განაცხადა, რომ ქვეყანაში ტურისტული მიზნით იმყოფებოდა.

გამოცემის ცნობით, დაკავებულებმა ბოლო ორი დღის განმავლობაში საქართველოში გარკვეული რაოდენობის თანხა გამოაგზავნეს.

ცნობისთვის: ევროკომისიამ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან საბინაო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში საუბარია ორგანიზებული დანაშაულის საკითხზეც და ნათქვამია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფები საქართველოდან კვლავ აქტიურად არიან ჩართული დანაშაულებრივ ქმედებებში ევროკავშირის მასშტაბით.

თბილისის ურბანული მენოციდის ანატომია

ქალაქის სოდომად ქცევის შემოქმედნი



ბოლო ათწლეულებში რაც თბილისს დამართეს, მისმა და ქვეყნის მმართველებმა, ქალაქის ამჟამინდელმა მერმა, ბ-ნ. კ. კალაძემ სავსებით მართებულად, ურბანული გენოციდი უწოდა. ზოგადად გენოციდის ცნება, რომელიც გაეროს 1948 წლის კონვენციითაა განმარტებული, მოსახლეობის ჯგუფთათვის სერიოზული ფსიქიკური თუ ფიზიკური ზიანის მიყენებას, ასევე ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას გულისხმობს, რაც მის მთლიან ან ნაწილობრივ განადგურებას გამოიწვევს.

თავად ამ ობიექტური ფაქტის აღიარება, მის ავტორს დადებითად ახასიათებს, მითუმეტეს, რომ იგი ქალაქის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანის სურვილს და საამისოდ მზაობას გამოხატავს.

არსებულ პირობებში, აუცილებელი ხდება საზოგადოების მხრიდან ბ-ნ კალაძის ქმედითი მხარდაჭერა, იმის გონივრული ვარაუდით, რომ მისი ეს გეგმები გულწრფელი და რეალურია. საზოგადოების მხრიდან ეს მხარდაჭერა, შესაძლებელია გამოიხატოს რჩევის თუ რეკომენდაციის მიწოდებაში, რათა ჩვენი ქალაქი ვიხსნათ გარემოს სრული დეგრადირებისგან, ტრანსპორტით გადაადგილების სრული კოლაფსისგან, უსისტემო და მახინჯი მშენებლობების წარმართვისგან, რის შედეგადაც, თბილისი ბეტონის შენობათა და ცემენტის მტვრით თუ ჯართად ქცეული მანქანების გამონაბოლქვით გაჯერებულ, გაუვალ ჯუნგლებად იქცა.

ზოგადად, ჩვენს საზოგადოებაში არსებული უმეტესი პრობლემების სათავე და მოუგვარებლობა, მათ შედეგებზე და არა მიზეზებზე ყურადღების, დროის მხოლოდ იმ წუთიერ, ფრაგმენტულ კონცენტრირებაში გამოიხატება, რასაც ჩვენი სოციუმი იმეტებს საამისოდ, რის გამოც ეს პასუხგაუცემელი მიზეზები, გამუდმებით გენერირებულ და კიდევ უფრო მეტ, უარეს შედეგებს წარმოქმნიან.

ქალაქთან დაკავშირებულ ყველა პრობლემასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, არსებული მდგომარეობის ობიექტურად გამოხატვა, მისი მიზეზების დადგენა და ბოლოს გამოსავლის გზების ძიება და მათი რეალურად განხორციელებაა საჭირო.

ნებისმიერ ქვეყანაში, ყველა ამ პროცესს მერია და საკრებულო და მისი ანალოგები ახორციელებენ. თბილისში, დღემდე, ვერც ერთი ეს ორგანო ამ ფუნქციას ვერ და არ ახორციელებდა, რადგან ობიექტური თვითშეფასება ამ ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, ქალაქის სივრცით ვაჭრობის დასასრულის და სატუსაღოში საკუთარი ფეხით განწესების ტოლფასი ქმედება იქნებოდა.

ამ პირობებში, დიდი ალბათობაა, რომ მათი რეალურად მხილების საფრთხის შემთხვევაში, მერიის შესაბამისი სტრუქტურები, პირველ რიგში კი არქიტექტურის და მასთან განუყოფლად შერწყმული, მისი მაკონტროლებელი მერიის ქვედანაყოფების სამსახურები, ყველა, მათ შორის, საბოტაჟის მეთოდს მიმართავენ, რათა გაანადგურონ საკუთარი კრიმინალურ ქმედებათა კვალი, რაც, ალბათ დროული, პრევენციული მოქმედებებით უნდა აღიკვეთოს.

განსახილველ კონტექსტში არსებულ პრობლემათა ნათლად წარმოჩენისთვის, მეტად საგულისხმოა საერთაშორისო ორგანიზაციათა დასკვნები თბილისის **ურბანულ** და მასთან უშუალო კავშირში მყოფ, ქალაქში **ცხოვრების ხარისხთან** დაკავშირებით.

მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი საკონსალტინგო კომპანია „MERCER“-ი, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თბილისს, დასახელებული პარამეტრების შედარებითი შეფასების შედეგად, მსოფლიოში 230 დედაქალაქსა და მილიონიან ქალაქებს შორის 187-ე ადგილს უჩენს (2017 წ.), სადაც უფრო წინ მდგომი სტატისტიკური მეზობლებია მაპუტუ (მოზამბიკი), მიწასთან გასწორებული ბეირუთი, ზამბიის დედაქალაქი ბანჯული და მრავალი სხვა.

ავტორიტეტული საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაცია Numbeo-ს წლევანდელი მონაცემებით, თბილისს ავტომანქანების გამონაბოლქვით ჰაერის დაბინძურების მიხედვით, მსოფლიოს 292 ქალაქს შორის 67-ე ადგილი უჭირავს,რაც იმას ნიშნავს,რომ მასზე უკეთესი მდგომარეობაა 225 ქალაქში. ამავე წყაროს მიხედვით, თბილისში, ყოველწლიურად, თვითეული მისი მოქალაქის ტრანსპორტით გადაადგილებისას გამოიყოფა 686,7 კგ ნახშირორჟანგი, რომლის გასანეიტრალებლადაც აუცილებელია, თითოეულ მოსახლეზე, ქალაქში 8,01 ხე მოდიოდეს. ქალაქში კი ხეთა განუკითხავი ჭრა, გახმობა და ამოძირკვა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, რომელიც პერმანენტულად ჩნდება მის საიტზე Breathelife 2030, 2017 წ. ნოემბერში, თბილისში ჰაერის დაბინძურების მონაცემი, ამ ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარზე, სამჯერ, ანუ 300 პროცენტით უარესი იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვიღებთ შედეგს, რომელიც საერთაშორისო ენერგეტიკულმა საგენტომ (IEA) 2016 წ. აღრიცხა და რომლის მიხედვითაც, გარემოს დაბინძურების შედეგად დამდგარი სიკვდილიანობის მიხედვით თბილისი, მსოფლიოში პირველ ადგილზეა (290 ადამიანი 100 000-დან).

არსებული მდგომარეობის მიზეზების დადგენა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან მათ მთავარ შემოქმედს ქალაქის ყოფილი ნაცხროველი მერი უგულავა, მისი მოადგილეები, ასევე, პირველ რიგში ე.წ. არქიტექტურის სამსახური, მისი განუყოფელი და ერთგული მაკონტროლებელი ზედამხედველობის სამსახური თუ სხვა, ინსპექტირების ორგანოები წარმოადგენდნენ, რომელთა დანაშაულებრივი ქმედებები (როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა), დოკუმენტურად არის დადასტურებული ათეულ ათას უკანონო მშენებლობის ნებართვის დამაკანონებელ აქტებში.

უბედურება ისაა, რომ ამ დოკუმენტებში ჩამხედავი დღემდე არავინ მოიძებნა. შედეგად, ვერც უგულავას შემცვლელმა მერიის ხელმძღვანელობამ შეძლო ამ ავგიას თავლის გაწმენდა, უთავბოლობის თუ იმ ტრადიციებით ტკბობის გამო, რაც ამჟამად გაევროპელებულ უგულავას და აბესაძეს დარჩათ გაუსაღებელი.

გასაყიდ ობიექტს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ქალაქში არსებული სივრცეები წარმოადგენდა. კონკრეტულად საქმე ეხება მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტ კ-1 ის, რომელიც განსაზღვრავს, ნაკვეთის ტერიტორიის მაქსიმუმ რა ნაწილზეა დასაშვები შენობა-ნაგებობის განთავსება და კოეფიციენტ კ-2-ის მომატების ნებართვის გაცემას, რომელიც განსაზღვრავს ასაგები შენობის იატაკის ზედაპირის ჯამურ ფართობს.

სრულიად უკანონოდ და უსაფუძვლოდ, დანაშაულებრივად მიითვისა რა ამ პარამეტრების გაზრდის უფლების გასაღების ფუნქცია, მერიამ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, წლების განმავლობაში გასცა მილიონობით კვადრატული მეტრის მშენებლობის უფლება, მათ შორის: საქსტატის მონაცემებით, 2006-2014 წლებში უგულავას მაფიამ დაყიდა 26 937 980 კვ/მ ფართის მშენებლობის 27 314 ნებართვა; 2015-2017წ. ამ ნებართვათა აბსოლუტური უმრავლესობა უსაფუძვლო, უკანონო და არაუფლებამოსილ ორგანოთა და პირთა მიერ იყო გაცემული და მოიცავდა ბაღების, სკვერების, ქუჩების თუ სახლთა შორის არსებულ უკანასკნელ საზოგადოებრივად ხელმისაწვდომ ტერიტორიულ სივრცეებს.

ნებისმიერ პრეტენზიაზე, რაც უკანონო მშენებლობას ეხებოდა, ნარმანია წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ გაცემულ ნებართვებზე აპელირებდა, რომლებიც თითქოს ხელუხლებელი, საბოლოო ჭეშმარიტების შემცველი და ამდენად გადახედვას თუ გაუქმებას არ ექვემდებარებოდა. თუ მის ლოგიკას გაჰყვება, ბ-ნ კალაძეს ამთავითვე შეუძლია დაივიწყოს ურბანული გენოციდის დაძლევის განზრახვა და თბილისის სიცოცხლის ქალაქად გადაქცევა.

ქალაქი ურბანულ განადგურებას სათავე დაუდო ნაცხროველთა ორგანიზებულმა ბანდამ, რომელმაც ხელყო ის, რაზეც ოდითგანვე დაფუძნებულია სამართალი, კონკრეტულად კი ნებისმიერი არგუმენტის თუ გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა.

აუცილებლობის ეს პრინციპი, უშუალოდ ეხებოდა და ეხება სამშენებლო ნებართვების გაცემას.

სოდომიზაციის მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, ქვეყნის მთავარმა მაოხრებელმა, 2005 წელს შეცვალა ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი, რომლის მე-7 პუნქტში პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ ჩაწერა სრული სამართლებრივი აბსურდი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ საჭიროებს დასაბუთებას, თუ ის **გამოცემულია დაინტერესებული მხარის მოთხოვნის** საფუძველზე და არ ზღუდავს მესამე პირის კანონიერ უფლებებს და ინტერესებს.

დაინტერესებულ მხარედ ყოველთვის სპეკულანტი „ინვესტორები“ და მათ უკან მდგომი ბანკები გვევლინებიან, მესამე მხარედ ცნობისთვის კი, მოქალაქეს მერიისთვის უნდა წარედგინა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომ იგი სპილო არ იყო, რასაც, ბუნებრივია, ვერასოდეს იღებდა. 53(7) მუხლი ამჟამდაც ძალაშია და, სამწუხაროდ, მისი არსებობა ბოლო დრომდე არავის აწუხებდა.

დანაშაულებრივი განზრახვის მეორე აუცილებელ მდგენელს წარმოადგენდა ისეთი ფანტომური, უჩინარი ორგანოს შექმნა, რომელიც ერთპიროვნულად გასცემდა როგორც კ-1, ისე კ-2 კოეფიციენტის გაზრდის რეკომენდაციას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

და შექმნეს კიდეც, თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისია, რომელსაც ყველაზე დიდ აღებ-მიცემისას (2013-2014 წ. – 9 272 ნებართვა, 10 მილიონ 583 007 კვ/მ ფართზე), სახელოვანი ნაცხროველი ი. აბესაძე ხელმძღვანელობდა და რომელიც, მის მიერ შედგენილ „რეკომენდაციას“ დასამტკიცებლად თავისსავე თავს, ამჯერად მერის მოადგილის სტატუსში მყოფ, იგივე ი. აბესაძეს წარუდგენდა.

კოეფიციენტთა ამგვარად განუკითხავად გაზრდის და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეს პრაქტიკა, არსებითად ეწინააღმდეგებოდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის უამრავ ნორმატიულ აქტს, მათ შორის საკრებულოს 2009წ. 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებას. კონკრეტულად კი ამ გადაწყვეტილების შემდეგ მუხლებს:

— მუხლი 2-ს, რომელიც მშენებლობის ინტენსივობის და სიმჭიდროვის ზრდას დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ არსებული საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისობის, ან გაუმჯობესების პირობებში.

მერიის მიერ გაცემულ არცერთ სამშენებლო ნებართვას ეს დოკუმენტი თან არ ახლავს, რაც იმთავითვე ბათილს ხდის ყოველ მათგანს. დიდად საეჭვოა, საერთოდ, არქიტექტურის სამსახურში და მერიაში წარმოდგენა ჰქონოდათ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე და მის კავშირზე ქალაქმშენებლობასთან.

— მუხლი 24-ს, რომლის მიხედვითაც კ-1 და კ-2 კოეფიციენტის მაქსიმალური მაჩვენებლების გადამეტება შესაძლებელი იყო განაშენიანების რეგულირების გეგმების გადაწყვეტების საფუძველზე, თუ:

ა) ამას მოითხოვდა დედაქალაქის ქალაქმშენებლობითი და არიტექტურული, აგრეთვე ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა განსაკუთრებული მიზეზები;

ბ) გადამეტება წონასწორდება ან კომპენსირდება გარკვეული ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

გ) ამას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

მერიისა და არქიტექტურის არცერთი ინსტანციის წარმომადგენელს ეს მუხლი არათუ არასოდეს გამოუყენებია, არამედ საერთოდაც წარმოდგენა არ ჰქონიათ მათზე.

ამავე, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კ-1 და კ-2 კოეფიციენტის გადამეტება დასაშვები იყო მხოლოდ შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პროექტის, მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი სამსახურის და ქ. თბილისის ტერტორიის გამოყენების და განაშენიანების საკითხთა საბჭოს დასკვნის საუძველზე, რომელსაც ამტკიცებდა ქ.თბილისის მერი.

ფაქტობრივად კი, ნებართვები გაიცემოდა ერთპირონულად მხოლოდ ამ რაღაც ორსათაურიანი ორგანოს მიერ, რომელსაც ერთდროულად კომისიაც და ზონალური საბჭოც ერქვა, რომელსაც აბესაძე ხელმძღვანელობდა და რომელიც თავისსავე თავს, როგორც მერის მოადგილეს წარუდგენდა დასამტკიცებლად კოეფიციენტთა გაზრდის გადაწყვეტილებას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ქალაქის მთავარი არქიტექტორი კი ურცხვად და უტიფრად აცხადებდა, რომ მის სამსახურს კოეფიციენტის მომატებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

ყოველივე ამ ქმედებათა შედეგად ქალაქი გაივსო უსახური, ერთმანეთზე მიბჯენილი კორპუსებით, რომლებიც გაჩეხილი ნარგავების ადგილას ჩაიდგა, რომლებშიც არც მზე აღწევს, ჰაერიც სანატრელია, რომელთანაც ვერც დღისით და ვერც ღამე, მანქანით ვერ მიაღწევ საცოცხლების გამო.

საბედნიეროდ, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გააუქმა ნაცხროვის მიერ შეთხზული, მშენებლობებთან დაკავშირებული, რიგი უგვანო ნორმატიული აქტები, მაგრამ სახეზე გვაქვს მილიონობით კვ/მ ფართის შენობების, ადრე გაცემული ნებართვები, რაც მათ მფლობელებს პრეტენზიის ილუზიას უჩენს.

მიუხედავად იმისა, რომ ნარმანიას ადმინისტრაციას კარგად უნდა სცოდნოდა ადმინისტრაციული სამართლის ის უმნიშვნელოვანესი ნორმა, რომლის მიხედვითაც მას, თავად ჰქონდა მის წინამორბედთა უკანონო-დაუსაბუთებელი აქტების გაუქმების უფლება, მერია ყველა სადავო საქმეს ავტომატურად აგზავნიდა სასამართლოში, სადაც მერიის ერთგული მოსამართლეები ასევე მექანიკურად ამართლებდნენ ყალბისმქმნელებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, მისი, შეიძლება ითქვას, თბილისისთვის ისტორიულ, 2017 წლის აპრილის №930-922 გადაწყვეტილებით (მოსამართლე ქ-ნ მ.ვაჩაძე), სამართლებრივად წერტილი დაუსვა მშენებლობის ნებართვების გაცემის მანკიერ, კრიმინალურ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც მერია მუდმივად გასცემდა რაღაც მუტანტ ორგანოზე დაყრდნობით, სრულიად დაუსაბუთებელი მშენებლობის და მის პარამეტრთა გაზრდის ნებართვებს.

გადაწყვეტილებაში, რომელსაც პრეცედენტის ძალა აქვს, ნათქვამია, რომ უზენაესი სასამართლო მთლიანად იზიარებს თბილისის საპელაციო სასამართოს (მოსამართლე ბ-ნ შ.გეწაძე) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ: **„დადგენილი პარამეტრების გაზრდა განსაკუთრებულ დასაბუთებას საჭიროებს, რათა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შესაბამისობაში იყოს... კანონთან, რათა არ მოხდეს ქალაქის სპონტანური, სტიქიური განვითარება, რომელსაც არ ექნება სათანადო ინფრასტრუქტურული მხარაჭერა, რათა არ შეილახოს როგორც მინიმუმ სადავო ობიექტების მომიჯნავედ მცხოვრებთა, ასევე პოტენციალურად მოსახლეობის უფრო ფართო ფენების უფლებები და კანონიერი ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები“.** შემდეგ, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა **„კომისიის დასკვნის დასაბუთებულობა გულისხმობს მერიის აქტის დიდწილად კანონიერებას, რადგან მერის აქტი, მთლიანად ეყრდნობა კომისიის დასკვნას. არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, პალატა ასკვნის, რომ, სამწუხაროდ, თითქმის ყოველთვის, კანონმდებლობით დადგენილი კოეფიციენტების გადამეტება შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ საბუთდება და გამოთქვამს იმედს ...რომ ეს მანკიერი პრაქტიკა აღმოიფხვრება...“**

ამავე გადაწყვეტილებით გაცამტვერებულია მერიის მუდმივი აპელირება იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ უკვე გაცემული უკანონო ნებართვები აღმჭურველ სტატუსს ფლობენ და ამდენად ხელუხლებელი არიან. გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია, რომ შესაძლებელია ამგვარ აქტთა ბათილად ცნობა, როდესაც ისენი არსებითად არღვევენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. დაუსაბუთებლობა კი თავისთავად გამორიცხავს ამ აქტთა კანონიერებას.

ამდენად მერიას, რეორგანიზაციის და მუშაობის გარდაქმნის პროცესში, სრული უფლება აქვს, გააუქმოს ყველა უკანონოდ გაცემული მშენებლობის ნებართვა ჯერ აუშენებელ შენობებზე, ხოლო უკანონოდ უკვე აგებულ შენობებს მიანიჭოს შეუსაბამო შენობის სტატუსი.

გარდა ამისა, უკიდურეს აუცილებლობას წარმოადგენს იმ საჯარო მოხელეთა მხილება, რომლებიც ძალაძის სოდომად ქცევის შემოქმედნი და შემსრულებლები იყვნენ. ვერავითარი ატესტაცია ამ კადრებს სრულყოფილად ვერ გამოავლენს. არსებობს მარტივი მეთოდი მტყუან-მართლის დასადგენად და ესაა მათი ნახელავის შეფასება, რაც უმარტივესი პროცესია, რომლის განხორციელება უბრალო, პატიოსან სტაჟიორსაც ძალუძს. ელემენტარულად, შესამოწმებელია, მტკიცებულებით დოკუმენტთა ფიზიკურად არსებობა-არარსებობა. ეს საშუალებას მისცემს მერიის ახალ ხელმძღვანელობას, თავიდან აირიდოს შემდგომი ბოდოკიზაცია და სუფთა ფურცლიდან დაიწყოს ძალაძში სიცოცხლის დაბრუნებაზე ზრუნვა ახალ, სანდო კადრებთან ერთად.

ბესარიონ კერესელიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ათდღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად

თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილი მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროს თემურ ბოლოთაშვილთან ერთად, თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე იმ შენიშვნებზე ისაუბრეს, რომელიც დედაქალაქის ხელმძღვანელობას თბილისის განვითარების მთავარი დოკუმენტის მიმართ გააჩნია.

თბილისის მერის მოადგილემ ხარვეზების გამოსწორებისა და დოკუმენტის დახვეწის მიზნით, ინტენსიური თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა და დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა, თუმცა მისი თქმით, თბილისის განვითარების სრულფასოვანი დოკუმენტის მისაღებად, არსებული ხარვეზების გამოსწორება აუცილებელია.

„დღევანდელ შეხვედრაზე საუბარი თბილისის განვითარების გენერალურ გეგმას შეეხო, რომელიც ამ დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფმა „სითი ინსტიტუტი საქართველომ“ უნდა წარმოადგინოს. მერიამ დოკუმენტთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზები დაადგინა და ველოდებით, რომ ისინი ამ ყველაფერს გამოასწორებენ. ავუხსენით, თუ სად გვქონდა ძირითადი ხარვეზები, რაში ვხედავდით პრობლემას. იმედია, ჩვენს შენიშვნებს გაითვალისწინებენ და დადგენილ ვადაში ახალ, გაუმჯობესებულ დოკუმენტს წარმოადგენენ“, — განაცხადა ილია ელოშვილმა.

დედაქალაქის მერიამ თბილისის გენერალური გეგმის დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფს დოკუმენტში გარკვეული ხარვეზები დაუდგინა და მათ გამოსასწორებლად ათდღიანი ვადა მისცა.

* * *

გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფი ხელშეკრულების ფარგლებში დაჯარიმდა, იმუშავებენ და შენიშვნებთან დაკავშირებით ახალ ვარიანტს წარმოადგენენ.

„თბილისის გენერალური გეგმა არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, თითოეული ჩვენგანისთვის, ქალაქის განვითარებისთვის და, რაც მთავარია, ქალაქის სწორად განვითარებისთვის. დაჯარიმება მოხდა არსებული ხელშეკრულების ფარგლებში და მათ გამოსწორებისთვის 10-დღიანი ვადა მიეცათ. იმუშავებენ და წარმოადგენენ“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ.

თბილისის მერიამ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი 140 ათასი ლარით დააჯარიმა.

თბილისის მერმა „ახალ ტფილისში“ გახსნილი საახალწლო ბაზრობა დაათვალიერა

თბილისის მერი კახა კალაძე პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან ერთად „ახალ ტფილისს“ ესტუმრა. დედაქალაქის მერმა „ახალ ტფილისში“ გახსნილი საახალწლო ბაზრობა დაათვალიერა და იქ წარმოდგენილ პროდუქციას გაეცნო.

კახა კალაძემ ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა, მოსახლეობას კი „ახალ ტფილისში“ და დედაენის ბაღში მისვლისკენ მოუწოდა.

„მინდა, ვისარგებლო შემთხვევით, საქართველოს ბანკს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო, რადგან ეს აღმაშენებელი მთლიანად საქართველოს ბანკის მიერ არის მორთული. ეს ჯიხურებიც, თავიანთი სტარტაპერები ჰყავთ შემოყვანილი და რაც მთავარია, პროდუქტი, რომელიც იყიდება, არის საქართველოში ნაწარმოები, ქართული და კარგია ზოგადად, საშობაო — საახალწლო განწყობა და ძალიან მიხარია, რომ ბევრი ადამიანია გამოსული“,— განაცხადა კახა კალაძემ.

„ახალ ტფილისში“ საახალწლო ბაზრობა 7 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

საკრებულოში თბილისის ისტორიული აბრების გამოფენა გაიმართა

დედაქალაქის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ორგანიზებით, წარმომადგენლობითი ორგანოს სარდაფში თბილისის ისტორიული აბრების გამოფენა გაიმართა.

გამოფენაზე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული 2017 წლამდე სამისამართე აბრების ნიმუშები იყო წარმოდგენილი. აბრების დიდი ნაწილი თბილისის ისტორიის მუზეუმმა შემოინახა. შედარებით ახალი პერიოდის აბრები კი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მოიძია.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თინათინ ნიბლოშვილის თქმით, გამოფენის მიზანი თბილისის, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქალაქის, კიდევ ერთხელ წარმოჩენა იყო.

ღონისძიებას თბილისის მერი კახა კალაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს წევრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

განცხადება

2018 წლის 15 თებერვალს, 14 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა. ნინოშვილის ქ. 7) გაიმართება შპს „ბარჯა 2015“-ის მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „ბარჯა 2015“-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. N7.
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „ბარჯა 2015”-ის ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 15 თებერვალს, 13 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა. ნინოშვილის ქ. 7) გაიმართება შპს „მალკო“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „მალკო“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. N7.
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „მალკო”-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 15 თებერვალს, 12 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. N7) გაიმართება შპს „იმერეთი“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „იმერეთი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. N7.**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

- **ჯუღული ახვლედიანი: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;**

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში

შპს „იმერეთი“-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2018 წლის 19 თებერვალს, 1 საათზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. №9) გაიმართებაწაბლარი 2 ჰესის მშენებლობისა და ოპერირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, მდინარე წაბლარისწყალზე 24 მეტ სიმძლავრისჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას დაექსპლუატაციას.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათშემდეგ მისამართებზე:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში – ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ. № 9;
- შპს „Georgian Green Power“-ის ოფისში - ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა 36, მე-5 სართული;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებისდღიდან 45 დღე.

შპს „Georgian Green Power”-ის ადმინისტრაცია

სს „ელმავალმშენებელი“

2017 წლის 25 დეკემბრიდან აცხადებს ინტერესთა გამოხატვას მის საკუთრებაში არსებული ხიდური ამწის რეალიზაციის შესახებ

<u>ლოტი №1</u>

ხიდური ამწის (ინვ.№2043, ტ/ა-10ტ, გადაწვდომის სიგრძე - 16,5მ., ექსპლუატაციაში შესვლის წელი - 1983) - 1 ცალი.

<u>წინადადებების მიღების ბოლო ვადა:</u> 29 დეკემბერი 12:00 საათი.

<u>წინადადებების მიღების ადგილი:</u> დ.გურამიშვილის გამზირი №84, ადმინისტრაციული შენობის ოთახი №216.

<u>კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია:</u> ყველაზე მაღალი ფასის შემოთავაზება.

<u>განსაკუთრებული პირობა:</u>

პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავისი წინადადებები დალუქულ კონვერტებში;

დემონტაჟის ადგილი უნდა შემოიღობოს დროებითი შემოღობვით.

<u>კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია:</u>

- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხიდური ამწის დემონტაჟისათვის საჭირო ტექნიკისა და მუშა ხელის დაქირავება და შესაბამისი სამუშაობეის განხორციელება;
- დემონტაჟის დროს არ დააზიანოს ახლოს მდებარე დაზგა-დანადგარები;
- დემონტაჟის დასრულების შემდეგ უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების დაქირავება და შეძენილი საქონლის საზოგადოების ტერიტორიიდან გადატვირთვა;
- ხიდური ამწის დემონტაჟისას დაიკისროს უსაფრთხოების წესების და პირობების სრული დაცვა და პასუხისმგებლობა;
- ყველა სხვა კონკრეტული პირობა გაიწერება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

<u>შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:</u>

- შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერესთა გამოხატვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება დამოუკიდებელი ან/და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე შემსყიდველის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:</u>

ტელ. 5 99 79 11 32, 5 14 30 88 33

სს „ელმავალმშენებელი“

2017 წლის 25 დეკემბრიდან აცხადებს კონკურს მის საკუთრებაში არსებული შენობების დემონტაჟის პროექტის მომზადების შესახებ

<u>ლოტი №1</u>

№9 კორპუსის (საკ.კოდი - 01.12.01.003.198), ნაწილის (ცგპ-ის გარეშე) დემონტაჟის პროექტის მომზადება და მერიის შესაბამის სამსახურებიდან დემონტაჟის ნებართვის მოპოვება.

კორპუსი მოიცავს ორ შენობას: ყოფილ მე-12 და მე-13 საამქროებს.

ყოფილი მე-12 საამქროს შენობა წარმოადგენს ლენტური საძირკველის მქონე წითელი აგურით აშენებულ საწარმოო ნაგებობას. გადახურულია რკ/ბეტონის გადახურვის ფილებით (6 15მ). გამოყენებულია მონოლითური რკ/ბეტონის სვეტები და ლითონის ფერმები. შენობის სიგრძე - 36მ., სიგანე - 18მ., სიმაღლე - 12,3მ. მიშენებული აქვს 2-სართულიანი ადმინ.-საყოფაცხოვრებო შენობა ზომებით 18 8მ. სამშენებლო მოცულობა - 10 173მ³. შენობა გადახურულია 0,5მმ. გოფრირებული ფურცლოვანი თუნუქით.

ყოფილი მე-13 საამქროს შენობა წარმოადგენს ლენტური საძირკველის მქონე წითელი აგურით აშენებულ საწარმოო ნაგებობას. ნაწილობრივ გადახურულია რკ/ბეტონის გადახურვის ფილებით (6 15მ), ნაწილი მონოლითური რკ/ბეტონით. შენობის სიგრძე - 120მ., სიგანე - 15მ., სიმაღლე - 5მ. სამშენებლო მოცულობა - 4 890მ³. შენობა გადახურულია 0,5მმ. გოფრირებული ფურცლოვანი თუნუქით.

<u>წინადადებების მიღების ბოლო ვადა:</u> 29 დეკემბერი 12:00 საათი.

<u>წინადადებების მიღების ადგილი:</u> დ.გურამიშვილის გამზირი №84, ადმინისტრაციული შენობის ოთახი №216.

<u>კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმია:</u> ყველაზე დაბალი ფასის შემოთავაზება.

<u>განსაკუთრებული პირობა:</u>

- პრეტენდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ თავისი წინადადებები დალუქულ კონვერტებში;
- გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის განმავლობაში წარმოადგინოს აღნიშნული შენობების დემონტაჟის პროექტი;
- ყველა სხვა კონკრეტული პირობა გაიწერება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც გაიწერება ყველა სხვა კონკრეტული პირობა.

<u>დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:</u>

ტელ. 5 99 79 11 32, 5 14 30 88 33

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე“ (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №18, სადარბაზო 1, სართული 3, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.567.01.01.009).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 48769.73 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 13 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 27 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP48617717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 486177
6. **მოვალე:** ეკატერინე მაქაძე (პ/ნ 38001005076), საჩხერე, სოფელი ორღული.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP48617717; ლოტის ნომერი: 486177).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 27 დეკემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარიამ გელაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ გელაშვილი (პ/ნ 57001011700), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ., კორპუსი 11, ბინა 11;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ევგენი მიქელაძის ქ. №13, სადარბაზო 1, სართული 5, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 01.13.03.023.032.01.01.022).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23415.68 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 10 იანვარი, 12:15 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. **მოვალე:** ლევან ცქიფურიშვილი (პ/ნ 01005028986), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ., კორპუსი 10, ბინა №12;
მარიამ გელაშვილი (პ/ნ 57001011700), თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვ., კორპუსი 11, ბინა 11.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს ‘ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ‘ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 10 იანვრის 12:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „პროგრესი 2000“-ის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით და გირავნობით დატვირთულ უძრავ-მოძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **იპოთეკის საგნების მესაკუთრე:** შპს „პროგრესი 2000“ (ს/ნ 208211175), ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი.

იპოთეკის საგნების ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.603);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.637);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.305);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.358);
- ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი (საკადასტრო კოდი: 86.13.02.359).

იპოთეკის საგნების სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთები არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **გირავნობის საგნების მესაკუთრე:** შპს „პროგრესი 2000“ (ს/ნ 208211175), ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი.

გირავნობის საგნების მოკლე აღწერა:
ჩამოსასხმელი ხაზი – 1 ერთეული; მარკირატორი – 1 ერთეული; სარეცხი აუზი – 1 ერთეული; სარეცხი აუზი – 1 ერთეული; წყლის სახდელი კუბი – 1 ერთეული; 5ლტ გამრეცხი – 1 ერთეული; წყლის ნასოსი – 1 ერთეული; პროცესორი – 1 ერთეული; კონდეციონერი „არხული“ – 4 ერთეული; ბოთლის გასაბერი ფორმა – 1 ერთეული; გამრეცხის აუზი – 1 ერთეული; ურიკა ამწე – 1 ერთეული; სტაბილიზატორი – 1 ერთეული; 20ლბ ჩამომსხმელი ხაზი აპარატურა – 1 ერთეული; ტუმბო – 2 ერთეული; უჟანგავი რეზერვუარი – 1 ერთეული; კომპრესორის თავი AB 85114 – 4 ერთეული; ოზონატორი – 1 ერთეული; 20 ლიტრიანი ბალონების თავზე პლასტიკური ეტიკეტის შემომკვრელი მანქანა – 1 ერთეული; 20 ლიტრიანი ბალონების სარეცხი – 1 ერთეული; ვიტრინა მაცივარი – 31 ერთეული; წყლის ბიდონი 19ლ – 2030 ერთეული; წყლის დისპენსერი TCLTY-LYR32B – 64 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 silver – 3 ერთეული; წყლის დისპენსერი TCLTY-LYR32B – 9 ერთეული; დისპენსერი BSS 2210 (კომპლექტში) – 1 ერთეული; დისპენსერი BOSCH-RDW1270 – 8 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 white – 93 ერთეული; წყლის დისპენსერი NOBEL NWD 1559R – 60 ერთეული; წყლის დისპენსერი NOBEL NWD 1558 – 30 ერთეული; წყლის დისპენსერი MEGA MWD501 – 35 ერთეული; წყლის დისპენსერი – 3 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 silver – 5 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 white (with cabinet) – 86 ერთეული; წყლის დისპენსერი BY110-3 white – 5 ერთეული; წყლის დისპენსერი NOBEL NWD 333W – 21 ერთეული; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია №00291 (ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი 11.09.2006 წელი).

გირავნობის საგნების სამართლებრივი მდგომარეობა: გირავნობის საგნები არ არის დატვირთული გარდამავალი ვალდებულებებით.

3. **იპოთეკის და გირავნობის საგნების საწყისი ფასი:** 266813.16 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის თანხა 40699.68 ლარი).
4. **იპოთეკის და გირავნობის საგნების რეალიზაციის ფორმა:** იპოთეკის და გირავნობის საგნების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 10 იანვარი, 12:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** შპს „პროგრესი 2000“ (ს/ნ 208211175), ამბროლაურის რაიონი, სოფელი ხოტევი.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია სარეალიზაციო ქონების საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, აუქციონის დასრულებიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს სარეალიზაციო ქონების ღირებულება შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო ნივთებზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 10 იანვრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

შ.პ.ს. „ბათუმ ციმენთოს“ ადმინისტრაციის
განცხადება

2018 წლის 16 თებერვალს 14:00 საათზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23), გაიმართება შპს „ბათუმ ციმენთო“-ს ცემენტის საწარმოს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ცემენტის წარმოება (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით).

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, ს/კ № 05.35.28.313.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქ. №23;
- შპს „ბათუმ ციმენთო“-ს ოფისი, ქ.ბათუმი,ლეონიძის ჩიხი17ა, ტელ: (+995) 568- 848- 474;
- შპს „ჯეოკონი“-ს ოფისი , ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენლთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ.ბათუმი, იაკობ გოგებაშვილის ქ. №32/1. საკონტაქტო პირი: მელისა გელაძე, ტელ.: (+995) 568- 848- 474. ელ. ფოსტა: melissa.geladze@gmail.com.

◎ წყალბურთი

ირანი ქულებს არ იძლევა

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში დამთავრდა საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრებაში ოთხი კლუბი მონაწილეობს, ამჯერად კი საასპარეზოდ ხუთმა გუნდმა მოიყარა თავი. „ზედმეტი“ ირანის ნაკრები იყო, რომელიც უკონკურსოდ გამოდიოდა ამ ტურში და მასთან გამართული პაექრობები პირველობისთვის ქულებს არ იძლეოდა. თუმცა, განსხვავებული ძალისა და სტილის წყალბურთელებთან ჩვენების შეხვედრებს გამოცდილების ამაღლების მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ახლა კი თავად მეორე წრის ორთაბრძოლების შესახებ: ასპარეზობის პირველ დღეს ჩემპიონატის ლიდერმა „ლოკომოტივმა“ „თბილისი“ დაამარცხა – 12:7 (3:1, 2:1, 3:3, 4:2). მეორე ტურში „თბილისს“ „დინამომაც“ აჯობა – 16:7 (3:1, 2:2, 7:2, 4:2), ხოლო „ლოკომოტივმა“ „სპორტმენეჯმენტს“ სძლია – 17:4 (6:2, 5:0, 5:0, 1:2). მესამე ტურში ლიდერები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

„ლოკომოტივი“ – „დინამო“ 10:10 (2:1, 2:3, 4:3, 2:3)

„ლოკომოტივი“: ქარჩავა, ქავთარაძე – 1, ქარჩილაძე, ფურცელაძე-2, ბაბუნაშვილი – 1, ყაველაშვილი, რუსიშვილი, ივანიშვილი – 3, ურუშაძე, გეგელაშვილი – 3, კახეთელიძე, ჩიკვაიძე, კუჭუაშვილი, **მწვრთნელი** დავითიანი.

„დინამო“: რაზმაძე, შავშიშვილი, ღავთაძე, თეთრაძე, გაბადაძე, ადეიშვილი – 3, ხვედელიანი, ბაღათურია – 4, ქართველიშვილი, მოსაშვილი – 1, ხამოევი – 1, ერისთავი, თევდორაშვილი, დვალი, გვეტაძე, **მწვრთნელი** ტუკვაძე.

მეორე წრის ცენტრალური მატჩი ერთობ დაძაბულად და დრამატულად წარიმართა. დინამოელმა გეგელაშვილმა მხოლოდ მეოთხე წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი. პირველი პერიოდიც „დინამომ“ მოიგო 2:1. დიდი შესვენების წინ წონასწორობა აღდგა – 4:4, ფინიშამდე წუთნახევრით ადრე კი „ლოკომოტივი“ გავიდა ორი ბურთით წინ – 10:8, თუმცა, მისი შენარჩუნება ვერ შეძლო და პაექრობაც ფრედ – 10:10 დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში რკინიგზელებმა ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს (11:10).

აქვე გაუწყებთ ჩემპიონატის დანარჩენი მატჩებისა და ირანელებთან გამართული შეხვედრების ანგარიშებს: „დინამო“ – „სპორტმენეჯმენტი“ (ჩხიკვიშვილი, კირიაკიდი, შუკაკიძე, დვალიშვილი, შუბითიძე, წულაძე, სამყურაშვილი, ჭეიშვილი, მერაბიშვილი, გაგოშიძე, ბარბაქაძე, ახვლედიანი, გარსევანიშვილი, სადუნიშვილი, **მწვრთნელი** ლაითაძე) – 14:7 (4:2, 3:1, 1:3, 6:1), „სპორტმენეჯმენტი“– „თბილისი“ (კაპანაძე, დადვანი, დიასამიძე, სამყურაშვილი, მემანიშვილი, ხოხაშვილი, გიორგაძე, კუჭუაშვილი, ხვინგია, ჭეიშვილი, იმნაიშვილი, ქათამაძე, ბარბაქაძე, **მწვრთნელი** კუტივაძე) – 7:19 (1:5, 3:5, 2:5, 1:4), „თბილისი“-ირანი – 9:9 (2:1, 3:1, 3:3, 1:4), ირანი-„ლოკომოტივი“ -– 12:5 (3:3, 7:1, 1:1, 1:0), „დინამო“ – ირანი – 13:11 (5:3, 4:4, 4:2, 0:2) .

უტევს გიორგი ხვედელიანი

ორი წრის შემდეგ: „ლოკომოტივი“ – 16 (ექვსი მატჩიდან ხუთი მოგება და ერთი ფრე), „დინამო“ – 13 (ოთხი მოგება, თითო ფრე და წაგება), „თბილისი“ – 6 (2 მოგება, 4 მარცხი) და „სპორტმენეჯმენტი“ – 0 (ექვსივე წაგება) ქულა.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

გაზაფხულამდე გამოიზამთრებენ

რვა გუნდი მონაწილეობს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში. პირველი წრის ბოლო ორი მატჩი ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა. ცენტრალური შეხვედრა ბათუმის „შავი ზღვის ბიჭებსა“ და „ქუთაისს“ შორის ფრედ – 25:25 დასრულდა. არადა, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მას შემდეგ, რაც მასპინძელთა მეკარე ანდრიაძემ ჯერ შვიდმეტრიანი მოიგერია, შემდეგ პირისპირ გასულ მეტოქეს გოლი არ გაატანინა, გრიშიკაშვილმა და რუსტამოვმა რიონისპირელები ორი ბურთით დაანწინაურეს – 19:17. ზღვისპირელებმა 7 ტურში 13 ქულა მოაგროვეს და კვლავ ერთპიროვნულად დაწინაურდნენ.

წლევანდელი ჩემპიონატის აუტსაიდერების – „წყალტუბოს“ და „სამტრედიას“ მატჩი წყალტუბოელებმა მოიგეს 34:31 და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

შვიდი ტურის შემდეგ: ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ – 13 (269:197), თელავის „იმედი“ – 12 (223:199), „ქუთაისი“ – 11 (251:190), „პეგასი“ – 8 (262:228), „გორი“ – 6 (233:255), სტუ – „ქარიშხალა“ – 4 (206:217), „წყალტუბო“ – 2 (217:282), „სამტრედია“ – 0 (169:262) ქულა.

სამი წრის შემდეგ გამოვლინდება ის ოთხეული, რომელიც მედლებისთვის იბრძოლებს. შეჯიბრება გაზაფხულზე განახლდება.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრმა გიორგი ცივაძემ ანტალიის 15.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობაში წარმატებით იასპარეზა.

მეორე ადგილს დასჯერდა

უკრაინელ ვლადისლავ ორლოვთან ერთად მან ზედიზედ სძლია ხორვატებს – დუჟე კეკეზისა და ანტუნ ვიდაკს – 6:3, 6:4, შეჯიბრების რეიტინგ-ფავორიტებს – ალექსანდრ პავლიუჩენკოვსა (რუსეთი) და მაჩეია სმოლას (პოლონეთი) – 2:6, 6:4, 10:6 და პოლონელებს – ადამ ჩადაისა და პატრიკ კროლიკს – 6:2, 6:2 (ამ გაიმარჯვებით ქართველმა ჩოგბურთელმა ერთეულთა სტარტზე ადამ ჩადაისთან მარცხისთვის რევანში აიღო). გადამწყვეტი პაექრობა ცივაძემ და ორლოვმა ჰოლანდიელებთან – გლენ სმიტსა და კოლინ ვან ბეემთან საათსა და 21 წუთში დათმეს – 6:7, 2:6 და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

გივი გაგუა

◎ ევროპის სტადიონებზე

ნახვამდის, ინტრიგა...

სეზონი უკვე კარგა ხანია გახურდა და ეკვატორსაც მიუახლოვდა, მაგრამ, ბუნებრივია, საბოლოო შედეგებზე საუბარი ადრეა. უფრო სწორად, ადრე უნდა იყოს, მაგრამ ახლავე შეგვიძლია ვივარაუდოთ რამდენიმე ჩემპიონატის გამარჯვებული.

თქვენს ყურადღებას ტოპ ხუთ ჩემპიონატზე შევაჩერებთ. ხუთიდან ოთხ ლიგაში ჩემპიონობის ბედი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია. ლიგა 1-ში, ბუნდესლიგაში, პრემიერლიგასა და ლა ლიგაში ჯერ მხოლოდ პირველი წრე მიილია, მაგრამ რად გინდა, საჩემპიონო რბოლა დასრულებულია.

ლა ლიგა – „კლასიკოს“ შემდეგ „რეალი“ (0:3 კატალონიელებთან) ფაქტობრივად თამაშგარეში დარჩა. 17 ტურის შემდეგ სხვაობა 14 ქულაა ლიდერ „ბარსელონასთან“ და მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბს“ თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩემპიონობაზე პრეტენზია გამოთქვას. „ბარსელონა“ სხვებთანაც კომფორტულ უპირატესობას ფლობს: 9 ქულა „ატლეტიკოსთან“, 11 – „ვალენსიასთან“.

ლიგა 1 – „მონაკოს“ ლიდერობა ერთწლიანი გამოდგა. „პსჟ“-მ ზაფხულში ჯიბეზე ხელი გვარიანად გაიკრა და საფრანგეთში პირველი ადგილი დაიბრუნა. პარიზელთა უპირატესობა 19 ტურის შემდეგ ძალზე სოლიდურია – 16 მოგება, 2 ფრე და ერთადერთი წაგება. ბუნებრივია, ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ უნაი ემერის გუნდი ჩემპიონობას ადვილად გაიფორმებს. პარიზელები ამჟამად „მონაკოსა“ და „ლიონს“ 9 ქულით უსწრებენ და სიმართლე რომ ვთქვათ, სხვაობის შემცირებაზე მეტად გაზრდაა მოსალოდნელი.

ბუნდესლიგა – კარლო ანჩელოტის გათავისუფლებამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა ბუნდესლიგაში. იუპ ჰაინკესთან ერთად „ბაიერნი“ისევ ძლევამოსილი გახდა და პირველი წრე ფანტასტიკურად განვლო. მდევარ „შალკესთან“ 17 ტურის შემდეგ უპირატესობა 11 ქულაა და ალბათ გერმანიაში ადამიანს ვერ ნახავთ, ვისაც სჯერა, რომ რეკორდმაისტერი სეზონის ბოლოს „ვერცხლის სინის“ გარეშე დარჩება.

პრემიერლიგა – პრემიერლიგის ლიდერის მონაცემები ყველაზე შთამბეჭდავია: 19 მატჩი, 18 მოგება და ერთი ფრე. პეპ გვარდიოლას „მანჩესტერ სიტი“ იმდენად შეუდარებელია, რომ თვით პრემიერლიგაში, რომელიც თითქოს ყველაზე კონკურენტუნარიანია, საჩემპიონო ბრძოლა მკვდარია. „ქალაქელები“ „იუნაიტედს“ 13 ქულით უსწრებენ და საქმე ისე მიდის, „სიტი“ 13 ქულას მეორე წრეში საერთოდ არ დაკარგავს. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ჟოზე მოურინიოს ბიჭები ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტენ...

სერია A – ერთადერთი, სადაც საჩემპიონო ინტრიგა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, იტალიის სერია A გახლავთ. ეგ კი არა, საქმე ისე მიდის, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ალბათ ბოლო ტურამდე გასტანს. მე-18 ტურის მერე ლიდერი „ნაპოლია“, რომელიც ერთი ქულით უსწრებს „იუვენტუსს“ და ძალიან ახლოსაა ზამთრის ჩემპიონობასთან. მაურიციო სარის გუნდმა აქამდე ერთდერთხელ წააგო და ისიც „ბებერ ქალბატონთან“. ამ ორი გუნდის გარდა, ჩემპიონობაზე გაწევას აპირებენ „რომა“ და „ინტერი“. მილანელები ლიდერს 5 ქულით ჩამორჩებიან და რომ არა ბოლო ორ ტურში მარცხი, ლიდერებიც იყვნენ, ხოლო „რომა“ 7-ქულიან დისტანციაზეა, მაგრამ ერთი თამაში მარაგში აქვს კონკურენტებთან შედარებით.

მოკლედ, როგორც ხედავთ, ოთხი ჩემპიონი თითქმის ცნობილია. სამაგიეროდ, ერთი ქვეყნის ჩემპიონობაზე ოთხი გუნდი აცხადებს პრეტენზიას...

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

საშობაოდ – კუნძულისკენ

მიუხედავად **განელი მობურთალის კევინ პრინს-ბოატენგის დაჟინებული სურვილისა და თხოვნისა, მისმა ცოლმა, პოპულარულმა მოდელმა და ტელეწამყვანმა მელისა სატამ მაინც თავისი გაიტანა და ქმარს საშობაოდ ბოატენგის მშობლებთან და ნათესავებთან აფრიკაში წასვლა გადააფიქრებინა.**

მელისა სატას შობის დღეების კარიბის ზღვის კუნძულებზე გატარება ნამეტნავად ყვარებია და მაშინ, როდესაც ჩვენი პლანეტის დიდი ნაწილი ამ დღის ოჯახურ გარემოში აღნიშვნას ამჯობინებს, ქალბატონი მელისა სწორედ მაშინ ისურვილებს ხალხმრავლობიდან თავის დაღწევას და ცხელ კუნძულზე წამოპლაკვას.

კევინ პრინს-ბოატენგზე ერთადერთი რისი თქმაც შეგვიძლია, როგორც ჩანს, ნამეტნავად შესციცინებს და შეჰხარის თავის კაპარჩხანა ცოლს და გადაწყვეტილებებსაც, როგორც, ვხედავთ, რჩეულის სურვილით მარტივად იცვლის. არადა, ბოატენგის თანაგუნდელებს რომ ჰკითხოთ, შავტუხა კევინი დიდი ჯიუტი და თავისნათქვამა ვინმეა...

ხსოვნა

დოდო (დარეჯან) ვადაჭკორია-ხიმშიაშვილი

ქართველი მწერლები, ფართო სალიტერატურო საზოგადოება ძალზე დაამწუხრა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლის **დოდო (დარეჯან) ალექსანდრეს ასული ვადაჭკორია-ხიმშიაშვილის** გარდაცვალებამ.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მუდამ ქართველი მოზარდების ზნეკეთილ, ზნემაღალ, ქედუხრელ, სამშობლოს ერთგულ პატრიოტებად ფორმირებას ემსახურებოდა.

დოდო ვადაჭკორია ერთი მშვენიერი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ შეიძლება სძლიო დროს, ჟამთა სვლას, არ შეეპუო უსამართლოდ და უღვთოდ თავსდამტყდარ უბედურებას და არ დააჭკნო ის მშვენიერი ყვავილი, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში საკუთარ სულში ზრდიდი. ქალბატონ დოდოს არასოდეს დაუმალავს თავისი ასაკი, რომელიც ვერაფერს აკლებდა, რადგანაც მისი ხორციელი სილამაზე სულიერში ტრანსფორმირდა და შიგნიდან გაანათა, შიგნიდან გაასხივოსნა და გაასპეტაკა ეს ტრაგიკული ბედის მქონე ქედუხრელი ქალბატონი, ალიკვალი მისი მშობელი ქვეყნისა...

დოდო ვადაჭკორია დაიბადა 1923 წლის 15 ივნისს. 1941 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს დაასრულა. მას შემდეგ სადაც არ უნდა ემუშავა დოდო ვადაჭკორიას, იგი ყველან საოცარი პროფესინალიზმით გამოირჩეოდა, ყველგან სიკეთესა და სათნოებას ასხივებდა...

დოდო ვადაჭკორიას ლიტერატურული დებიუტი 1950 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი პირველი საბავშვო მოთხრობა „ჭრელი ხელთათმანი“. მას შემდეგ ლამის შვიდმა ათეულმა წელმა განვლო და ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ ამ მშვენიერი ქალბატონის სახით ქართულ საბავშვო მწერლობას ერთ-ერთი გამორჩეული წინამძღოლი ჰყავდა, რომელიც მის თავგამოდებულ მკითხველებთან ერთად იმ ზღაპრულ სამყაროში ცხოვრობდა, სადაც ერთმანეთს გამუდმებით ებრძვიან სიკეთე და ბოროტება და სადაც გამარჯვებული (იქ მაინც) მხოლოდ სიკეთეა, მხოლოდ სიქველე და სამშობლოსთვის თავდადება...

დოდო ვადაჭკორიას საბავშვო პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „უცნაური დედობილი“, „ვინ მივა პირველი საქართველოში“, „დედის ლოცვა“, „ჩემი სოფელი“, „ვარსკვლავები საჩუქრად“, „ბროლის ციგა“, „კენკრა ტკბილია“, „ერთი კალთა სიყვარული“ შეიყვარეს პატარებმა, შეიყვარეს დიდი ადამიანური სიმართლისთვის, სისადავისთვის, იმ იდეალების ერთგულებისათვის, რომლებსაც საქართველოს სიყვარული, ვაჟკაცობა, მოყვასის გატანა და სათნოება ჰქვია. არ შეიძლება სულით ხორცამდე არ შეძრას მკითხველი დოდო ვადაჭკორიას მოთხრობების პრობლემატიკამ, თუნდაც უცხოეთში ბედისწერისაგან გარიყული პატარა ქართველების სევდამ და კაეშანმა, რომლებსაც ძილშიაც კი საქართველო და მათი დიდებული წინაპრების სახელი აბოდებთ...

დოდო ვადაჭკორიას საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებული მთარგმნელი იყო და ქართულად აამეტყველა შვედური და უკრაინული ზღაპრები, აზერბაიჯანული მოთხრობები: ვალერი მედვედევის „ვოვა ვესნუშკინი“, „ბარანკინის 36 ფათერაკი“, „ბარანკინი — კოსმონავტი“, „ბარანკინის ფანტაზიები“, ხალიდა ხასილოვას „უჩინარი მხედარი“...

თბილისის თოჯინების თეატრში წარმატებით დაიდგა დოდო ვადაჭკორიას პიესა „ბროლის ციგა“. მან საინტერესო წერილები მიუძღვნა გიორგი შატბერაშვილის, რევაზ ჯაფარიძის, ქეთევან ჭილაშვილის, ქიშვარდ ისაკაძის შემოქმედებას.

დოდო ვადაჭკორიას საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მთლიანად მოზარდებთან იყო დაკავშირებული. იგი წლების განმავლობაში არჩეული იყო მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის ბიუროს წევრად, ჟურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო საბჭოს წევრად. იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საქართველოს ისტორიის წრის პედაგოგი და უშურველად იღვწოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისთვის.

ჩვენ, ამ მშვენიერი ქალბატონის კოლეგები, მოხიბლული ვიყავით მისი პიროვნული ღირსებებით — შინაგანი ხიბლით, სათნოებით, უბრალოებით, მოხიბლულნი ვიყავით იმითაც, თუ რა საოცარი ერთგულებით ეფერებოდა საბჭოთა იმპერიისაგან უღვთოდ განწირული ძმის — უნიჭიერესი მწერლის კოტე ხიმშიაშვილის ხსოვნას, რომელიც სამშობლო ქვეყნის თავისუფლების წმინდათაწმინდა იდეალებს შეეწირა.

დოდო ვადაჭკორიას ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ნებისმიერი საბავშვო მწერლისათვის სანუკვარი შიო მღვიმელის პრემია. დაჯილდოებული იყო ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი — ღირსების ორდენით, ღირსეულად ატარებდა „ქართული კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდებას.

წავიდა ჩვენგან მშვენიერი მწერალი და მოღვაწე, დიდ ქართველ ბანოვანთა შთამომავალი, რომლის ხსოვნაც დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და თაყვანისმცემლების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ვახტანგ ყოლბაიას ბიძაშვილის

ჯუმბერ ყოლბაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა გულისტკივილს გამოხატავს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ახალგაზრდა თაობათა ესთეტიკური აღზრდის, დიდი მოამაგის, ქართველთა და აფხაზთა სულიერი კულტურული და ისტორიული ერთობის ცოცხალი განსახიერების, მრავალ უმაღლეს ჯილდოთა მფლობელის, საყოველთაო პატივისცემითა და სიყვარულით აღიარებული ჭეშმარიტი მამულიშვილის, ჩვენი ასოციაციის ერთგული მეგობრის, უნიჭიერესი, უმშვენიერესი ქალბატონის

სვეტლანა ქეცბას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, აფხაზეთის ა/რ მთავრობას, სრულიად საქართველოს.

სანთელი

მის ოცნებას აფხაზეთის დაბრუნება და აფხაზეთში დაბრუნება ერქვა

სვეტლანა ქეცბა

აფხაზეთის საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა — გარდაიცვალა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს „წმინდა გიორგის ოქროს ორდენისა“ და ღირსების ორდენის კავალერი **სვეტლანა ქეცბა.**

სვეტლანა ქეცბა დაიბადა 1933 წლის 17 ოქტომბერს ქ. სოხუმში. 1953 წ. დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელი, ხოლო 1958 წ. — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია წითელ დიპლომზე მუსიკისმცოდნის კვალიფიკაციით.

1958 წლიდან მუშაობდა სოხუმის პირველ საბავშვო სამუსიკო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად; 1974 წლიდან — სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად.

1992-2004 წწ. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი, ხოლო 1996-2004 წწ. — საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე.

2004-2006 წწ. მუშაობდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 2006 წლიდან იყო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე.

1971 წლიდან არაერთხელ იყო არჩეული აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ, იყო საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ხოლო შემდეგ — პრეზიდიუმის წევრი.

2000 წლიდან იყო ასოციაციის „ქალები ბავშვებისა და ახალგაზრდობის მომავლისათვის“ პრეზიდენტი.

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები აფხაზური და ქართული სამუსიკო ხელოვნების საკითხებზე, არის მრავალი სტატიის ავტორი, შემდგენელი და რედაქტორი აფხაზ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისა და აფხაზური ხალხური სიმღერების კრებულებისა.

2012 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით იყო პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულისა „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“. 2016 წ. გამოიცა მისი წერილების, ჩანაწერებისა და მოგონებების კრებული „გულის სახსოვარი — აფხაზურ-ქართული ურთიერთობები“.

სვეტლანა ქეცბა დაჯილდოებული იყო აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების საპატიო სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“, იყო კავკასიის ხალხების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ქალბატონი სვეტლანა ქეცბა აფხაზეთის ტრაგედიის დროს უყოყმანოდ დადგა იმ პოზიციაზე, რომელიც მისი ერის გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა. მრავალი ტკივილის ატანა მოუხდა მას ამ ეკლიან გზაზე, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია საკუთარი პრინციპებისათვის. იგი უანგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს, სწამდა აფხაზი და ქართველი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობისა და რუდუნებით იღვწოდა იმ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, რასაც აფხაზეთში დაბრუნება და აფხაზეთის დაბრუნება ჰქვია.

„პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება — ეს ადამიანთა ხსნის საკითხია და რაც უფრო გაჭიანურდება, მით უფრო გამწვავდება პრობლემა ყველაზე ძვირფასი პოტენციალის — ადამიანურობის შენარჩუნებისა...“ — წერდა ქალბატონი სვეტლანა ერთ-ერთ წერილში. „გადის წლები, მაგრამ ვერ მოვახერხე წარსულთან გამიჯვნა, საკუთარ გულში მშობლიური ადგილებისა და საყვარელი ადამიანების გამო სევდის ჩახშობა...“ — ესეც მისი სიტყვებია და ამ სევდით გადაინაცვლა მისმა სულმა მარადისობაში.

უფალმა დაუმკვიდოს საუკუნო სასუფეველი!
მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ქართული ხასიათები

ჯეირანი და სტალინის უცნობი რძალი...

თუმცა, ვისთვის ჯეირანი და ვისთვის ბატონი ჯეირან კიკრიაშვილი. ფართო საზოგადოებაში არცთუ უცნობი პიროვნება, ჯეელობაში ნახალოვკელი „კაი ბიჭი“, სტალინის სახელით პირველად 1956 წლის 9 მარტს „მოიწამლა“...

მას შემდეგ დადის ასე „მოწამლული“ და სხვების „მოწამვლასაც“ ცდილობს...

იგი ამ 3-4 წლის წინათ გავიცანი გულბაათ რცხილაძის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, „ღვინისძიებაში“ გადაიზარდა და ჩვენი მეგობრობაც აქედან დაიწყო!..

უმალ დავძმობილდით, რადგანაც სტალინის სიყვარულის გარდა, კიდევ ერთი რამ აღმოგვაჩნდა საერთო – ორივენი შვილმკვდარი მამები ვართ...

ჯეირანი ამ ბოლო დროს თურქეთში ცხოვრობს შვილ კობასთან და შვილიშვილებთან ერთად და ისე ხშირად ველარ ჩამოდის სამშობლოში, როგორც მას უნდა, მაგრამ წელიწადში სამჯერ – აუცილებლად:

გარდაცვლილი შვილის, ბესიკისა და სტალინის დაბადების დღეებზე და, რა თქმა უნდა, 9 მაისს.

სწორედ, განვლილ 21 დეკემბერს დამპატიჟა ჯეირანმა გორში, სადაც ზღაპრული დრო გაგვატარებინა.

სუფრა ხომ თავისთავად, როგორც ქიზიყში იტყვიან, „ჩიტის რძის ყველი ჩადგმით იყო“, ისეთი; აქედან, ცნობილი ლოტბარის მიშა მცურავიშვილის ანსამბლი, ხან „ჩაკრულოთი“ გრგვინავდა და ხან სტალინის საყვარელი „შავო მერცხალო“ გვჩრიდა ჯავრის გორგალს ყელში და იქით იუმორინას ქუჩის მუსიკოსებიდან ველისციხელი სულიკო „ჭამდა“ აკორდეონს.

ამ ყველაფერს კი თავს ადგამდა ცნობილი თამადა, ასეულობით ლექსის ზეპირად მცოდნე დათო ტარყაშვილი!

მასპინძელი? სუფრაზე არც კი დამჯდარა. ქართული სუფრა ხომ გარკვეულწილად სპექტაკლია და ჯეირანიც, თვალებში შვილმკვდარი მამის მარადიული სევდა ჩამდგარი, როგორც რეჟისორი ისე დააბიჯებდა დარბაზში და აშკარად მისი სცენარით მიმდინარე პურობას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა!

ამ ყოველივეს იუმორისტული მარილი ჯეირანის უსათნოესმა მეუღლემ, ქალბატონმა ეთერმა მოაყარა – რაც გავთხოვდი, მას მერე სულ სტალინი, სტალინი მესმის. ჩემი ქმარი უეჭველად სტალინის შვილია, ე.ი. სტალინი ჩემი მამამთილია, ხოლო მე მისი რძალიო...

დათო მხეიძე

ბათუმის ბულვარში წელს, პირველად, საახალწლო ნაძვის ხეს დადგამენ

ბათუმის ბულვარი ახალი წლის შესახვედრად ემზადება. წელს, პირველად, ზღვისპირა ბულვარი საზეიმოდ მორთული და ახალი სტილის ნაძვის ხით შეხვდება ახალ 2018 წელს. საახალწლო განათება და ნაძვის ხე კოლონადებთან ოფიციალურად, 29 დეკემბერს, 18:00 საათზე აინთება. საახალწლო ილუმინაციებითა და დეკორაციებით უკვე მოირთო კოლონადების მიმდებარე ტერიტორია და დამონტაჟდა მანათობელი დეკორატიული თაღი, ასევე ლედ პროექციით განათდა ბულვარის კოლონადები. საახალწლო აქსესუარებით საუცხოოდ მოირთო „ბამბუკების ხეივანი“.

ამ დღესთან დაკავშირებით, ბულვარის კოლონადებთან წინასაახალწლო ღონისძიება გაიმართება. შესრულდება ქორეოგრაფიული და ვოკალური ნომრები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ბათუმელი შემსრულებლები, ადგილობრივი ბენდები. პარალელურად, ინდივიდუალური ავტორების მიერ შესრულებული საახალწლო თემატიკის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი კომპოზიციები, ფოტო კუთხეები. ზღვისპირა ბულვარში მოსულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, სხვადასხვა საკონდიტრო კომპანიებისა და პროფესიული კოლეჯების მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი სადღესასწაულო პროდუქცია დააგემოვნონ. თოვლის ბაბუა ამ საოცარ ზღაპრულ გარემოში მარხილით შემობრძანდება და პატარებს საახალწლო ტკბილეულს გადასცემს საჩუქრად. ღონისძიების განმავლობაში ყავის დაგემოვნება სტუმრებისთვის იქნება უფასო. საახალწლო ღონისძიება ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის ორგანიზებით ტარდება.

ბათუმის ბულვარი 29 დეკემბერს ნამდვილ ზღაპრულ სივრცედ გარდაიქმნება.

გასაცინებელი ა(მ)ბები



შეშფოთება

დილაადრიან, ახალი წლის ღამის მერე, ცნობილ ექიმს ტელეფონის ზარი აღვიძებს:

– ექიმო, – ისმის ყურმილში შეშინებული ადამიანის ხმა. – ძალიან შეშფოთებული ვარ ჩემი მეგობრის მდგომარეობის გამო.

– რა დაემართა?

– წუხელ ცოტა დავლიეთ, ახლა კი... მწვანე ეშმაკები დაეხვნენ.

– ეგ როგორ?

– დანახვით ვერც ერთს ვერა ხედავს. არადა, ოთახი სავსეა მწვანე ეშმაკებით!

დიეტა

ჩასუქებული კაცი ექიმს სთხოვს, მირჩიე რამე, როგორ გავხდეო?– მკაცრი დიეტა უნდა დაიცვათ, – ეუბნება ექიმი. – ერთი პატარა ნაჭერი პური მარგარინით. ხბოს კატლეტი ანდა ქათმის ფრთა, ხაჭო და ორიც ვაშლი.

– ჭამის წინ თუ მერე?

სიზმარი

ორი ნაცნობი კაფეში ხვდება ერთმანეთს.

– წუხელ საშინელი სიზმარი ვნახე, – ამბობს ერთ-ერთი. – დამესიზმრა, რომ ვითომ ფინელი ვიყავი, ვერ წარმოიდგენ, რა დღეში ჩავვარდი.

– დიდი ამბავი. ფინელობა რა, ცუდია?!

– ცუდი არ არის, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ვიცი ფინურად.

ძველ დროს

პატარა ზიგმუნდს დეიდა კვერცხით უმასპინძლდება. ზიგმუნდმა კვერცხი გატეხა, მაგრამ აღარ შეჭამა.

– რატომ არ ჭამ? – ჰკითხა დეიდამ.

– არ მიყვარს, – მიუგო ზრდილმა ზიგმუნდმა.

– შენხელა რომ ვიყავი, მე ძალიან მიყვარდა თოხლო კვერცხი.

– მაშინ, ალბათ, ახალი იყო.

ნუ გეშინიათ

შვიდი წლის ნატალია მეზობელს ეუბნება:

– წუხელ პატარა ძამიკო მომევლინა.

– ჩინებული ამბავია. მოგწონს?

– ძალიან, მობძარნდით, ნახეთ.

– აუცილებლად, როგორც კი შენი დედიკო გამოჯანმრთელდება.

– ნუ გეშინიათ გადამდები არ არის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5342; ევრო - 3.0030;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3908;
100 რუბლი - 4.3486; თურქული ლირა - 0.6632;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4908;
1000 სომხური დრამი - 5.2686.

ამინდი 26 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+8
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge